შალვა ჯამასპიშვილი

ჯგუფური სარჩელი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში და მისი დანერგვის შესაძლებლობები საქართველოში

წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, შალვა ჯამასპიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი: ___/___/___

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ჯამასპიშვილი შალვას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ჯგუფური სარჩელი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში და მისი დანერგვის შესაძლებლობები საქართველოში და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი: ____/____/_____

რეზიუმე

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით აღიარებულია ე.წ სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის კონსტიტუციური უფლება, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამართლის ყველა დარგისთვის ეს პრინციპი უზენაესია და სწორედ აქედან გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპები, თუ ცალკეული საპროცესო რეგულაციები.

აღნიშნული ნაშრომი ეძღვნება ჯგუფური სარჩელის, როგორც სამოქალაქო საპროცესო ინსტრუმენტის კვლევას. ამ კონტექსტში გაანალიზებული და ახსნილია ჯგუფური სარჩელის სამართლებრივი ბუნება ანგლო- ამერიკული და კონტინენტური ევროპის კანონმდებლობის მაგალითზე. ფართო გაგებით ჯგუფური სარჩელი გულისხმობს პირთა წრის უფლებას, ერთობლივად ჩაებან სამოქალაქო-საპროცესო წარმოებაში, საკუთარი კანონიერი მიზნების მისაღწევად. საპროცესო თანამონაწილეობა როგორც ჯგუფური საპროცესო მონაწილეობის ფორმა, ჯგუფური სარჩელის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. აქედან გამომდინარე, ნაშრომი შედარებითი ანალიზის გამოყენებით გააშუქებს საპროცესო თანამონაწილეობისა და ჯგუფური სარჩელის, როგორც ანგლო-ამერიკული, ისე ქართული და ევროპული მოდელის ძირითად მახასიათებლებს.

ჯგუფური სარჩელის ანგლო-ამერიკული ვარიანტი უცხოა ქართული კანონმდებლობისათვის. მიზანი და ამოცანა, რის გამოც ანგლო-ამერიკულმა სისტემამ ამ ინსტიტუტის ფართო დანერგვა განაპირობა სამართლებრივ სივრცეში საპროცესო ეკონომიურობისა და პირების დაცვას უკავშირდება. შედეგობრივი თვალსაზრისით ჯგუფური სარჩელი უზრუნველყოფს, ერთი სასამართლო პროცესის ფარგლებში დაინტერესებულ პირთათვის მაქსიმალური შედეგის მიღწევას, ამასთან, მზარდი კორპორაციული ორგანიზაციების პირობებში მავნებლური და საზიანო პრაქტიკის შეკავებას, როგორც პირდაპირი თვალსაზრისით, ისე არაპირდაპირი გაგებით.

საქართველოს სახელმწიფოებრივი და საკუთარი სამართლებრივი კულტურის განვითარების ხანგრძლივი ტრადიცია არ გააჩნია. სამართლებრივი სისტემისა და კულტურის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხო ქვეყნების სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევა და საჭიროების შემთხვევაში ქართული სამართლის სისტემაში ინტეგრაცია.

ნაშრომის ამოცანაა მაქსიმალური სიცხადით წარმოაჩინოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირეული არსობრივი საფუძვლები, ხაზი გაუსვას სამოქალაქო სასარჩელო წარმოების მნიშვნელობას. ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანისაა და საფრანგეთის მაგალითზე გააანალიზოს ჯგუფური სარჩელის არსებული სამართლებრივი რეალობა და სამომავლო პერსპექტივები, როგორც აღნიშნულ ქვეყნებში, ასევე საქართველოში.

Resume

The 31st rule of Constitution of Georgia determines the fundamental right of citizens to access the court. This rule provides equal rights for persons to sue for violating their rights. The right to a fair trial is a supreme principle for all fields of law. Civil procedures have a conceptual contribution from the constitutional right described above.

The thesis is intended to explore class action as a device of civil procedure. The thesis itself tends to analyze and explain the legal nature of class action according to the Anglo American and European law systems. In a broad sense, group or class action include all kind of collective litigation forms. Joinder of parties as a legal institution is one of those class- action forms that persons can use jointly when their rights are violated. In this work, the author tries to discuss the main specifications of Joinder of parties and class action.

Georgian civil procedure system has not contained rules similar to the American model of the class action yet. The main reason why the class action legal institution is widely spread in many countries is to minimize the bureaucracy and support the safety of citizens. As a result, class action offers an unlimited number of persons getting a satisfactory settlement or judgment. On the other side, the class action procedure prevents large corporations from unfair conduct directly or indirectly.

Georgia became an independent state not a long time ago. The Law system and culture are still developing. It is vital to explore different experiences or law institutions worldwide and when it is inexorable to integrate the best choices to the Georgian legal system.

In the thesis, the author aims to put the light on some basic principles of civil procedure and underline the meaning of claim. The author will try to analyze the institution of the class action, how does it work in the United States of

America, Germany, and France and what kind of future perspective can be contributed to Georgia will be the field of study as well.

რეზიუმე.....3

შესავალი.....8

კველვის პრობლემა და მეთოდოლოგია.....11

თავი1. სამოქალაქო სამართალწარმოება..... 12

1.1 სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანები და ძირითადი საპროცესო ეტაპები.....12

1.2 ჯგუფური სარჩელი და მისი მნიშვნელობა სამოქალაქო საქმეთა წარმოებაში.....19

თავი 2. ჯგუფური სარჩელი და მისი მნიშვნელობა სამოქალაქო

საქმეთა წარმოებაში..... 21

2.1. ჯგუფური სარჩელის სამართლებრივი ბუნება..... 21

2.2 ჯგუფური სარჩელის მხარეები……. 31

2.3 ჯგუფური სარჩელის განსხვავება ჩვეულებრივი

სარჩელისგან…….. 33

თავი 3. ჯგუფური სარჩელის არსი და სამართლებრივი

მოწესრიგება ევროპის ქვეყნებში…… 42

3.1 გერმანია…….. 42

3.2 საფრანგეთი…… 48

თავი 4.ჯგუფური სარჩელის დანერგვის შესაძლებლობები

საქართველოში…… 53

ლიტერატურის მიმოხლივა 58

დასკვნა..... 59

შესავალი

ჯგუფური სარჩელი როგორს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებიდან იღებს სათავეს. ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი ტიპის დავების გადაწყვეტა, სადაც დაინტერესებულ პირთა წრე რამდენიმე ათეული, ასეული და ათასეულიც შეიძლება ყოფილიყო. კერძოდ ეკონომიკურ ბაზარზე მსხვილ კორპორაციების წარმოშობასთან ერთად ბუნებრივად ჩნდებოდა ამა თუ იმ ორგანიზაციების მხრიდან პრაქტიკა, რომელიც გავლენას ახდენდა მომხარებელზე. მავნე და სეჭვო პრაქტიკისგან პირების დაცვის მიზნით აუცილებელი ხდებოდა სწრაფი, ეფექტური და სამართლიანი სასამართლოს გზით პირების ზიანის მომტანი შედეგებისგან დაცვა. ასეთი დავების გადაწყვეტა მოითხოვდა საპროცესო წარმოების ინდივიდუალურად ჩატარებას, უამრავ დროსა და ენერგიას, მიუხედავად იმისა რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნები პირთა განუსაზღვრელი წრისთვის შეიძლება იდენტური ყოფილიყო. ინგლისის სასამართლომ მე-17 საუკუნეში შეიმუშავა სპეციალური წესები "Bill of Peace", რომელიც წარმომადგენელს აძლევდა უფლებას ჯგუფის სახელით აღეძრა სარჩელი, ან დაეცვა მოპასუხეები. ჯგუფურ სარჩელს სასამართლო დასაშვებად ცნობდა, თუ სასამართლო დარწმუნდებოდა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელეებისთვის იდენტური იყო, იწყებდა წარმოებას. ჯგუფური სარჩელის დასაშვებობის სტადიაზე მოწმდებოდა შემდეგი კრიტერიუმები: 1) დაინტერესებულ პირთა რიცხვი ძალზედ დიდი უნდა ყოფილიყო. 2) გააჩნდა, თუ არა ჯგუფის ყველა წევრს მატერიალური ინტერესი საქმესთან დაკავშირებით. 3) შეეძლო თუ, თუ არა წარმომადგენლად დასახელებულ პირს შეეძლო ადეკვატურად დაეცვა

ჯგუფის იმ წევრების ინტერესები, რომლებიც არ იქნებოდნენ წარმოდგენილი სასამართლო სხდომაზე. [1]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, აშშ-ში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა და ინდუსტრიალიზაციის განვითარება, მსგავსი ამოცანის გადაწყვეტა დღითიდღე აქტუალური ხდებოდა. ჯგუფური სარჩელთან დაკავშირებული სამართალწარმოება, როგორც დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისთვის, საქმიდან საქმემდე, პრეცენდენტიდან პრეცედენტამდე იხვეწებოდა და ვითარდებოდა. 1853 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადეობის კეთილდღეობისა და სამართლიანობისთვის სასამართლოს წარმოებაში უნდა დაეშვა წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებდა იმ პირების ან პირთა ჯგუფის სასარგებლოდ, რომელთა სამართლებრივი მოთხოვნები და ფაქტობრივი გარემოებები იდენტური იყო. 1938 წელს აშშ-ის უზენაესმა სასმართლომ შეიმუშავა პროცედურა, (შემდგომში ჩაიწერა შტატების საპროცესო კანონმდებლობის 23-ე მუხლში), რომელიც გამოიყენებოდა მომხარებელთა მიერ წარდგენილი ჯგუფური სარჩელის საფუძველზე დაწყებული სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად.[2] აშშ-ში ჯგუფური სარჩელის მარეგულირებელი წესების შემუშავება დაგვირგვინდა 2005 წელს სენატის მიერ საკანონმდებლო აქტის მიღებით - "Class action fairness act 2005".[3]

ევროპის ქვეყნებში ჯგუფური სარჩელის საკანონმდებლო რეგულაციების დანერგვას წინააღმდეგობის გარეშე არ ჩაუვლია. დღემდე რჩება განხილვისა და დიალოგის საგნად. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი კლასიკური გაგებით ანგლო-ამერიკული

---

[1] Jacqueline L. Sweeney, The evolution of the class action lawsuit : the original intent of providing fairness and equity for all has yet to be achieved,Lehigh University,2003, P.2.

[2] Jacqueline L. Sweeney, The evolution of the class action lawsuit : the original intent of providing fairness and equity for all has yet to be achieved,Lehigh University,2003, P.2,3.

[3] გია ლილუაშვილი, როგორც სასარჩელო წარმოების სპეციალური სახე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისა და ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტილული კონფერენციის შრომების კრებული 2013 წ. ქუთაისი

სამართლის ინსტიტუტია. ევროპული სამართლისთვის უცხო არ არის საპროცესო მონაწილეობის მარეგულირებელი პროცედურების არსებობა, თუმცა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული სამართლის ბირთვად ქცევამ, დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა პირთა ფართო წრის ინტერესებზე მორგებული ნორმების შემუშავება, როდესაც პირები განსაკუთრებულად კი მომხარებლები საჭიროებდნენ კორპორაციის საქმიანობის ისეთი მავნე შედეგებისგან დაცვას, რომლის მასშტაბიც არ ამოიწურებოდა ერთი ან რამდენიმე პირის დარღვეული უფლებით. მომხარებელთა უფლებები და გარემოსდაცვითი საკითხი გახდა ის ძირითადი მიზეზი, რამაც უბიძგა ევროპის კავშირსა და მასში შემავალ ქვეყნებს შეემუშავებინათ საკანონმდებლო ნორმები პრობლემის დასაძლევად.

საქართველოს საბჭოთა სივრციდან გამოყოფის შემდგომ 1995 წლის კონსტიტუციამ საფუძველი დაუდო თანამედროვე ქართული სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბებას. 70 წლიანი წყვეტის შემდეგ ხელახლა იქნა აღიარებული საკუთრებისა და სამართლაინი სასამართლოს უფლება. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით რომ 30 წელი საკმაოდ მოკლე პერიოდია სრულყოფილი სამართლის სისტემის ჩამოყალიბებისთვის, ქართული საკანონმდებლო სივრცე და კულტურა დემოკრატიული ქვეყნებში აპრობირებული სამართლებრივი პრინციპებითა და ინსტიტუტებით იხვეწებოდა და მდიდრდებოდა. ამჟამად ქართული სამართლებრივი სივრცისთვის უცხო და დაუმუშავებელი საკითხია ჯგუფური სარჩელთან დაკვშირებული სამართლებრივი ასპექტები, თუ პროცედურები. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება წინამდებარე კვლევა. უფრო კონკრეტულად, ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე, ნაშრომის მიზანია გაკეთდეს ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის ანალიზი - შეიქმნას წარმოდგენა კონცეპტუალურ და ტექნიკურ საკითხებზე, გამოიკვეთოს ის წინაპირობები და რაციონალური არგუმენტები, რამაც

განაპირობა სამართლის ინოვაციური ინსტიტუტის, ჯგუფური სარჩელის დამკვიდრება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში

კვლევის პრობლემა და მეთოდოლოგია

ჯგუფური სარჩელი ქართული სამართლისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტია. საკანონმდებლო დონეზე არ არსებოს ამ ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები. ქართულენოვან იურიდიულ ლიტერატურაში მწირია ნაშრომები ჯგუფური სარჩელის სამართლებრივი ბუნების შესახებ.

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის დამკვიდრება განაპირობა სწრაფმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ინდუსტრიული სუბიექტების მომძლავრებამ და საჯარო ინტერესმა დღის წესრიგში დააყენა ჯგუფური სარჩელის, როგორც სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტის აქტუალიზაცია. ინგლისში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გამოჩნდა აღნიშნული ინსტიტუტი, ხოლო ამერიკაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევდრიდან დამკვიდრდა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში არ წყდება სამეცნიერო კვლევები აღნიშნული საკითხის მიმართ. ეტაპობრივად მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მიმდინარეობს მოცემული ინსტრუმენტის სამეცნიერო დამუშავება და კანონმდებლობაში ინტეგრაცია. ევროპული სამართლის სისტემა ჯერ კიდევ აგრძელებს ცალკეული საკითხების საკანონმდებლო დონეზე განვითარებას.

მსოფლიოში მიდმინარე ეკონომიკური პროცესები განაპირობებს შეუქცევად გლობალიზაციას. მომავალი ნაციონალური თუ ტრანსნაციონალური კორპორაციების გარეშე წარმოუდგენელია. საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების გზას ადგას მრავალი კუთხით არ უნდა ჩამორჩეს პროცესებს და სამართლებრივ გამოწვევებს მომზადებულმა უნდა უპასუხოს.

ზემოაღნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში აღწერილობითი, ლოგიკური, შედარებით სამართლებრივი ანალიზის,

კრიტიკული, სინთეზური მეთოდის გამოყენებით გამოკვლეული იქნება ჯგუფური სარჩელის სამართლებრივი ბუნება, მისი როლი სამოქალაქო პროცესში, საპროცესო თანამონაწილეობისა და ჯგუფური სარჩელის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. საკვლევი საკითხის ფართო კონტექსტში გასააზრებლად მიმოხილული იქნება სამოქალაქო პროცესის ამოცანები და მიზნები, სარჩელის მნიშვნელობა და სახეები.

თავი 1. სამოქალაქო სამართალწარმოება

1.1 სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანები და ძირითადი საპროცესო ეტაპები

სამოქალაქო ურთიერთობები ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს ემყარება. მხარეების თავისუფალი ნების საფუძველზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობის საშუალებით თავისუფლად არეგულირებენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს.[4] მიუხედავად ამისა პირების ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას და წარმოიშობა კიდეც მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც კონსენსუსის მიღწევა ურთიერთმოლაპარაკების გზით ხშირად შეუძლებელია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან „ჩარევას". პირთა შორის წამოჭრილი კონფლიქტები ხშირად აღწევს ისეთ დონეს, როდესაც კონფლიქტი მოითხოვს არამარტო გადაჭრას როგორც ასეთი, არამედ, აუცილებელია სამართლებრივი სივრცის არსებობა, სადაც დავა გადაჭრილი იქნება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დაკისრებული კონკრეტული უფლება-მოვალეობების კონტექსტში. ნებისმიერ მხარეს უნდა ჰქონდეს საშუალება, საკუთარი უფლების დასაცავად გამოიყენოს ლეგიტიმური ძალის მქონე შესაბამისი

[4] ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011, გვ. 1

მექანიზმი[5]. აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამოქალაქო წარმოების პირველი მახასიათებელი, ამავდროულად ფუნდამენტური მიზეზი, უფლების დაცვის აუცილებლობაა.

სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყების საფუძველია პირის ან/და პირების მიერ სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა სასამართლოში. [6]დაწყებული აღნიშნული პროცედურიდან დამთავრებული საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, სამართალწარმოების წესები უზრუნველყოფენ მხარეების ჩართულობას, ან ამგვარი ჩართულობის სასამართლოს მხრიდან უზრუნველყოფას. მხარის, როგორც მოსარჩელის ასევე მოპასუხის მონაწილეობის უზრუნველყოფა სასამართლო პროცესში აუცილებელი ელემენტია, ამასთან საპროცესო მონაწილეობა მოდავე მხარეების თავისი ხასიათით ემყარება არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით ხასიათს. პირებს შორის წამოჭრილი უთანხმოების სახელმწიფო ინსტუტუციების მეშვეობით გადაჭრის შესაძლებლობა „სამართლიანი სასამართლოს“ კონსტიტუციური უფლების ძირითადი არსია, ამავდროულად, სამოქალაო პროცესი ხასიათდება დისპოზიციური ბუნებით, მხარეები თვითონ წყვეტენ წარადგინონ სარჩელი სასამართლოში თუ არა, სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით დაიწყოს საქმისწარმოება[7].

რამდენადაც სამართლის დარგები იყოფა იმის მიხედვით, თუ რა არის მათი რეგულირების საგანი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი განეკუთვნება კერძო სამართლის დარგს, თუნდაც იმ ნიშნის გათვალისწინებით რომ იგი მიმამრთულია კერძო პირებს შორის ურთიერთობების დარეგულირებისკენ, ამასთან საქმისწარმოება დამოკიდებულია იმ გარემოებაზე წარადგენენ პირები თუ არა შესაბამის

[5]ლილუაშვილი თ., - სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, II გამოცემა, 2005, გვ.37

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 3-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143

[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 4-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143

პრეტენზიებს სასამართლოში. ამდენად ყველაზე მარტივი განმარტებით სამოქალაქო საპროცესო სამართალი არის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს პირის მიერ სასამართლოში განცხადების წარდგენის, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.[8]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის ერთ-ერთი დარგია, რომელიც სპეციფიკურ ურთიერთობებს არეგულირებს. კერძოდ, სისხლის სამართლებრივი საპროცესო ურთიერთობებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო პროცესი არ ხასიათდება სასჯელებით, სასამართლო პროცესის გზით მხარეები მოწოდებულნი არიან მიიღონ კონპენსაცია, ან აინაზღაურონ სხვა სახის ზიანი მოპასუხისგან. თუ შევადარებთ სისხლის სამართლის პროცესს, მტკიცების სტანდარტი სამოქალაქო საპროცესო სამართალში განსხვავებულია, სამოქალაქო პროცესში მხარეებს ევალებათ წარადგინონ რაც შეილება მეტი დამაჯერებელი მტკიცებულება, რათა გადაწონონ მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა ამტკიცებდნენ პირის ბრალეულობას კრიმინალურ საქმეში.[9]

სამოქალაქო სამართალწარმოების კონცეპტუალური ნაწილი მოიცავს იდეურ ბაზისს და პრინციპებს, რომელიც ამ კონკრეტული სამართლის დარგის ბირთვია. მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის არის ინსტრუმენტები, რითაც პირებს ეძლევათ საშუალება დაიცვან საკუთარი უფლება სასამართლოში. ამ საკითხთან მიმართებაში, საინტერესოა საპროცესო სამართლის მიმართება სამართლის მატერიალურ დარგთან. ამ ორი დარგის ურთიერთობასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ სამართლის მატერიალური დარგი მთავარია, ხოლო პროცედურული წესები უზენაესი, რამეთუ პროცედურული წესების

[8]ლილუაშვილი თ., - სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, II გამოცემა, 2005, გვ.38,39.

[9] Introduction to civil litigation By Sally Kanehttps://www.thebalancecareers.com/introduction-to-civil-litigation-2164619

საშუალებით ხდება მატერიალური უფლებების უზრუნველყოფა პრაქტიკაში. მთავარი ასპექტი, რაც ამ ორ დარგს ერთმანეთისგან გამიჯნავს მდგომარეობს შემდეგში, რომ პროცედურული ნორმები ინსტრუმენტია, რომელიც საქმეს მიუძღვება კეთილგონივრული შედეგისაკენ. ნორმები, რომელიც მატერიალურ სამართლის ნორმებს აძლევს განხორციელების საშუალებას და განსხვავდება სამარლის იმ დარგისგან, რომელიც უფლებას განსაზღვრავს, ანიჭებს უფლებას როგორც ასეთს. პროცედურული ნორმების განხორციელება პირპდაპირი გზით არ უკავშირდება კონკრეტულ შედეგს, თუმცა უზრუნველყოფს იმას რომ დადგეს სამართლებრივი შედეგი.[10]

ვინაიდან საკვლევი საკითხი ეხება სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტს, რომელიც თავისი არსით და განვითარების ისტორიით ანგლო -ამერიკული სამართლის სისტემის პირმშოა, მიზანშეწონილია მიმოვიხილოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში.

ამერიკული სამოქალაქო პროცესი პრატქიკული თვალსაზრისით მოიცავს შემდეგ ეტაპებს 1. განცხადების წარდგენა 2.მტკიცებულებათა მოპოვების, შექმნის ეტაპი .3. სასამართლო გახნილვა. 4.გასაჩივრების ეტაპი.[11]

განცახდების წარდგენა უზოგადესი სტანდარტული ეტაპია ზოგადად სამართალწარმოების დასაწყებად. სამოქალაქო საპროცესო კუთხით, სამოქალაქო წარმოება იწყება სარჩელის წარდგენით, რითაც მოსარჩელე საკუთარი პოზიციის გასამყარებლად წარადგენს შესაბამის ფაქტებს და სამართლებრივ საფუძვლებს. მოპასუხე თავის მხრივ შესაგებლით მიმართავს სასამართლოს, რითაც შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად დაეთანხმოს სარჩელს ან საერთოდაც უარყოს იგი.[12]

[10] J.A. Jolowicz, On the civil procedure, Cambridge University press, 2000, P.60-61
[11] Helmuts Kleins, comparison of common law (Usa) and Civil litigation practice (EU), November 19, 2018
[12] იქვე

მტკიცებულებათა მოპოვების, შექმნის ეტაპი (discovery)[13] ანგლო-ამერიკული სამართლის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი უნიკალური საპროცესო მოქმედებაა, რითაც მხარეები ერთმანეთს გადასცემენ მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას, წერილობით უსვამენ შეკითხვებს, სასამართლოში საპროცესო მოქმედებების დაწყებამდე სათანადო წესით, წერილობით კითხავენ მოწმეებს, რომელიმე მხარემ შესაძლოა მოითხოვოს სასამართლოს დახმარება ინფორმაციის მოსაპოვებლად. აღნიშნული ეტაპი თავისი ხასიათით წინა სასამართლო საფეხურია, როდესაც მხარეები აქტიურად არიან ჩართული ინფორმაციის მოპოვებაში, რითაც ექმნებათ წარმოდგენა საქმეში საკუთარი პოზიციის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ, ეს ფაქტორი ხელს უწყობს პირებს წინასწარ განჭვრიტონ მოსალოდნელი შედეგები და საქმე მორიგებით დაამთავრონ.[14]

მესამე და მეოთხე ეტაპები, როგორც ნებისმიერ სამართალწარმოებაში, ამერიკულ სამოქალაქო პროცესშიც ტრივიალური და სტანდარტულია. კერძოდ, გამოკვლევის ეტაპის შემდგომ სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო, მხარეები შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარადგენენ საკუთარ მოსაზრებებს და არგუმენტებს. საბოლოო სიტყვა კი ეკუთვნის მოსამართლეს, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. რათქმაუნდა, პროცესი შესაძლებელია დასრულდეს შედეგით, როდესაც მოპასუხე მთლიანად თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.[15]

საბოლოო ეტაპი სამოქალაქო პროცესში არის გასაჩივრების ეტაპი, როდესაც დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას განიხილავენ ზედა ინსტანციის სასამართლოები, შედეგი კი გადაწყვეტილების გაუქმებით, ახალი გადაწყვეტილების განოტანით, ან

[13] https://en.wikipedia.org/wiki/Discovery_(law)
[14] Helmuts Kleins, comparison of common law (Usa) and Civil litigation practice (EU), November 19, 2018
[15] იქვე

ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სახით დგება. [16]

ამერიკული სამოქალაქო საპროცესო სამართლის განხილვის შემდეგ, ევროპული სამოქალაქო პროცესის არსის გასაგებად, გამოსაყოფია რამდენიმე საკვანძო ეტაპი: 1.წინასასამართლო ეტაპი 2. სარჩელის/განცხადების წარდგენა 3. მტკიცებულებების მოპოვება 4.სასამართლო განხილვა 5. აპელაცია[17]

მხარეები სასამართლოს ჩართულობის გარეშე ცდილობენ ურთიერთშეთანხმების გზით გადაჭრან წამოჭრილი დავა, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს ოფიციალური განაცხადით, სადაც თითოეული მხარე დოკუმენტური გზით წარადგენს საკუთარ სამართლებრივ მოთხოვნებსა და გარემოებებს. მტკიცებულებების მოპოვებისა და მტკიცების ტვირთი აბსოლიტურად დამოკიდებულია მხარეებზე. განსხვავებით ამერიკული მოდელისგან, სადაც მტკიცებულების მოპოვების გამოკვლევის პროცესი წინ უსწრებს სასამართლო პროცესს, ევროპული მოდელი უზრუნველყოფს სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვებას გამოკვლევას სასამართლო პროცესზე. მაგალითად მოწმეები და სხვა პირები, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას იკითხებიან სასამართლო დარბაზში, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელსაც მოითხოვს მხარე უნდა მოითხოვოს სასამართლოს წინაშე, თუ სასამართლო ჩათვლის რომ მოთხოვნა ლეგიტიმურია, ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარეს წარადგინოს მოთხოვნილი მტკიცებულებანი. სასამართლო პროცესის დაწყებამდე წარდგენილი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ უტყუარობის პრეზუმფციის სტანდარტით მიიჩნევა მტკიცებულებად, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, მოსამართლე გარკვეულწილად თამაშობს

[16] იქვე
[17]Helmuts Kleins, comparison of common law (Usa) and Civil litigation practice (EU), November 19, 2018

გამომძიებლის როლს რათა გაერკვეს სიტუაციაში, ამის შემდეგ სამართლის ნორმების შესაბმისად გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს სახელით. [18]

გასაჩივრების ეტაპი ევროპულ სამოქალაქო საპროცესო მოდელშიც ბოლო საფეხურია. სააპელაციო წესით გასაჩივრების დროს ხდება გადაწყვეტილების მთლიანად გადასინჯვა, როგორც ფაქტობრივ ნაწილში, ისე სამართლებრივ ნაწილში. საკასაციო დონეზე კი სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ სამართლებრივ ნაწილში, იმის გათვალისწინებით თუ რამდენად პრობლემურია კონკრეტული ნორმა, მისი შინაარსი და შეფარდება საქმესთან მიმართებით.

ევროპული სამოქალაქო პროცესისა და ამერიკული სამოქალაქო საპროცესო მოდელის მიმოხილვის შედეგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე უფრო სუბსტანციურ და არსობრივ დონეზე ორივე მათგანი მიმართულია იმ ამოსავალი წერტილისკენ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პირებს უნდა გააჩნდეთ სამართლებრივად გარანტირებული უფლებები, დაიცვან საკუთარი ინტერესები კერძო პირებთან ურთიერთობაში და მიიღონ შესაბამისი დაკმაყოფილება, თუ ამას იმსახურებენ. რაც შეეხება სხვაობას ამ ორ სისტემას შორის, სხვაობა პროცედურლ ნიუანსებში მართლაც თვალსაჩინოა. კერძოდ, ამერიკულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე დოკუმენტური მასალები. როგორიცაა მოწმეთა წერილობითი ჩვენებები, ფიცის ქვეშ დადებული წერილობითი ჩვენებები, იქმნება სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ხოლო ევროპულ სამოქალაქო პროცესში ასეთი სახის მტკიცებულებები იქმნება სასამართლო პროცესის განმავლობაში, უმეტესწილად, სასამართლო დარბაზში მოსამართლის თანდასწრებით. სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით ,ასევე მცირე ნიუანსებს შეიცავს ადვოკატების როლიც და სამართლის შეფარდების მეთოდებიც. საკითხის იმ კუთხით წამოჭრა თუ რომელი სისტემა ჯობია, არსებითი თვალსაზრისით, დიდი შედეგის მომცემი არ უნდა იყოს, ვინაიდან

[18] იქვე.

თითოეული სისტემა დაფუძნებულია მრწამსზე - უზრუნველყონ სამართლიანობა და თანასწორობა.[19]

1.2 სარჩელის საპროცესო სამართლებრივი ბუნება და მისი სახეები

წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია შევეხოთ სარჩელის, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის ბუნებას.ყველაზე მარტივი გაგებით სარჩელი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, პირის განცხადება, რომელიც შეიცავს პრეტენზიას გარკვეულ საკითხებზე,მითითებას ფაქტებზე და სამართლებრივ საფუძვლებზე. სარჩელის წარდგენის გზით პირი ცდილობს შეცვალოს სხვა პირებთან არსებული ურთიერთმიმართება, აინაზღაუროს დანაკარგები, მოითხოვოს პირებისგან კონკრეტული ქმედების განხორციელება, ან პირიქით მისთვის საზიანო ქმდებების შეჩერება და ა.შ.

იურიდიულ ლიტერატურაში ვხდებით სარჩელის განმარტების, სარჩელის სახეებად დაყოფის სხვადასხვა მოზასრებებს. როგორც უკვე ავღნიშნეთ, სარჩელი პროცესუალური დაცვის საშუალებაა, მაგრამ ლიტერატურაში სარჩელის გაცილებით ფართო გაგებით მოიაზრება, კერძოდ სარჩელებს ყოფენ მატერიალური და საპროცესო თვალსაზრისით. სამოქალაქო საპროცესო თვალსაზრისით, სარჩელი ერთი მხრივ ატარებს საპროცესო დაცვის მექანიზმის ფუნქციას, მეორეს მხრივ მატერიალურ

[19], Helmuts Kleins, comparison of common law (Usa) and Civil litigation practice (EU), November 19, 2018.

ხასიათს რამდენადაც შეიცავს მატერიალურ სამართლებრივ უფლებაზე მითითებას მოპასუხისადმი.[20]

ვინაიდან მატერუალურ სამართლებრივი თვალსაზრისით სამართლის დარგები იყოფა საჯარო და კერძო სამართლის დარგებად, მატერიალური გაგებით სარჩელები იყოფა ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, საკონსტიტუციო სარჩელებად[21].

გარდა სარჩელების მატერიალური კლასიფიკაციისა, პროცესუალური თვალსაზრისით სარჩელები ახარისხებენ აღიარებით, გარდაქმნით და მიკუთვნებად სარჩელებად. სარჩელების ასეთი კლასიფიკაცია ემყარება გარკვეულ შინაარსობრივ ნიშანს, ორიენტირს. თითოეული სარჩელის ტიპი იძლევა ინფორმაციას იმისდა მიხედვით, თუ რა სამართლებრივი შედეგისკენაა მიმართული. აღიარებითი სარჩელი განეკუთვნება სარჩელთა ისეთ კატეგორიას, რომლითაც პირი ითხოვს რაიმე უფლების ან სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას, აღიარებას. გარდაქმნითი სარჩელები კი მიმართულია სამართლებრივი უთიერთობების შეცვლა ან შეწყვეტისაკენ. ბოლო სახე, რომელიც მეტად ტიპიურია სამოქალაქო პროცესისთვის არის გარდაქმნითი სარჩელები, რომლებსაც ასევე აღსრულებით სარჩელებად მოიხსენიებენ, ასეთი სარჩელები მიმართულია აღსრულებისკენ და მათი ფუნქცია მხოლოდ სასამართლოს დეკლარაციული გადაწყვეტილებით არ ამოიწურება.[22]

დასკვნის სახით რომ შევაჯამოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსი, აუცილებელია ხაზი გავუსვათ კვლავ მთავარ გარემოებას, რომ როგორც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ისე ევროპისა და ამერიკის სამართლის სისტემებისათვის დამახასიათებლი ნიშანია კერძო პირებისათვის ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უფლების დაცვა, სამართლიანობის, თანასწორობის პრინციპების დაცვით. ამ თავში მოყვანილი

[20] ქეთევან როსტიაშვილი, ნაშრომი თემაზე აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი, თბილისი 2019, გვ.5

[21] იქვე.გვ.5

[22] იქვე გვ.10-13

კონცეპტუალური მსჯელობებისა და დასკვნების გარდა, ანგლო-ამერიკული და ევროპული სამართლისთვის დამახასიათებელი საპროცესო ეტაპებისა ანალიზი ემსახურება ზუსტად იმ მიზანს, რომ თუნდაც არაპირდაპირი კონცეპტუალური მსჯელობის გარეშე გამოიკვეთოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ის კონტურები, რომლებიც ტიპიურია სამოქალაქო წარმოებისათვის და მიუხედავად გარკვეული სხვაობებისა ატარებს ერთიან არსობრივ კონტურს.

თავი 2.ჯგუფური სარჩელი და მისი მნიშვნელობა სამოქალაქო საქმეთა წარმოებაში

2.1 ჯგუფური სარჩელის სამართლებრივი ბუნება

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯგუფური სარჩელთან დაკავშირებული ურთიერთობები ფედერალურ დონეზეა მოწესრიგებული, რაც გულისხმომს რომ უნივერსალური პრინციპების დონეზე დარეგულირებულია მთელი რიგი სამართლებრივი საკითხები სამოქალაქო წარმოებისთვის, თუმცა მცირედ სხვაობებს ცალკეული შტატების მაგალითზე ვხვდებით.

ამ თავის მიზანია გამოიკვეთოს ჯგუფური სარჩელის როგორც კერძო სამართლებრივი ინსტიტუტის ძირითადი პრინციპები, მნიშვნელოვანი პროცედურები თუ პრობლემები რომლებიც პრაქტიკაში იჩენს თავს.

ჯანეტ კუპერ ალექსანდერი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანის უფლებების კუთხით სრულყოფილად ხსნის, წარმოაჩენს იმ კონტექსტს, რაც საფუძვლად უდევს თანამედროვე ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავტორის განმარტებით, ჯგუფური

სარჩელის ინსტიტუტი ერთერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია ადამიანის უფლებების დასაცავად, მიუხედავად იმისა სარჩელი იმსახურებს დაკმაყოფილებას თუ არა. ეკონომიკურად ძლიერი კორპორაციები თუ სხვადსხვა ბიზნეს სუბიექტები გაცილებით უკეთ არიან აღჭურვილნი დაიცვან უკანონო შემოსავალი ვიდრე ეკონომიკურად სუსტი მოქალაქეები, რადგან სასამართლოს გზით უფლებების დაცვა მოითხოვს ხარჯებს. ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალური ზიანი გაცილებით ნაკლებია სასამართლო ხარჯებზე , ამიტომ ჩვეულებრივი მოქალაქეს ფინანსური და სხვა რესუსრის დახარჯვა არ უღირს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი უზრუნველყოფს მცირე თანხიანი ინდივიდუალური სარჩელების გაერთიანებას სამართალწარმოებისთვის, ისე რომ საჭირო არ გახდეს სარჩელის ინდივიდუალიზაცია სამართალწარმოების ყოველი პირისთვის. საბოლოო ჯამში ჯგუფური სარჩელის ეფექტური ინსტრუმენტია საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და საჯარო ინტერესების უზრნუველსაყოფად. ამის გამოა რომ პოლიტიკური კონსერვატიული ელიტა ყოველთვის წინააღმდეგია ასეთი ტიპის რეგულაციების, რადგან მათი მთავარი ნარატივი ეფუძნება ბიზნესის სიძლიერეს და არა საჯარო ინტერესების პრიორიტეტულობას.[23]

ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო ამოცანების გადაწყვეტით დაკავებულნი არიან სახელმწიფო ბიუროკრატიული დაწესებულებები, რომლებიც მოქალაქეთა გადასახადებით ფინანსდებიან, თუმცა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით აღნიშნული ორგანიზაციები არაეფექტურია პრობლემასთან გასამკლავებლად. ერთ-ერთი ფაქტორი ისაა, რომ ბიუროკრატიულ აპარატში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებულნი არიან სხვადსხვა პლოლიტიკური შეხედულებების მქონე პირები ,რაც ზრდის რისკებს გადაწყვეტილებები მიღებული იქნეს პოლიტიკური შეხედულებების გავლენით ან რომელიმე პოლიტიკური

[23] Janet Cooper Alexander, AN INTRODUCTION TO CLASS ACTION PROCEDURE IN THE UNITED STATES July 12,2001, P.1

ჯგუფის სასარგებლოდ. ხელისუფლების ორგანოებისათვის მსხვილი ფინანსური მხარდაჭერის წყაროა კორპორაციები. გასაკვირი არ არის ფაქტი, რომ ბიუროკრატიული პერსონალისთვის წინა პლანზე ინაცვლებს ე.წ. ბიზნეს ინტერესები ვიდრე საჯარო ინტერესი. ჯგუფური სარჩელის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტი იძლევა სშუალებას დავის სასამართლოს გზის განხილვისათვის.[24]

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ქმნის ეფექტურ, მასტიმულირებელ წინაპირობებს მრავალი მიმართულებით. პირველ რიგში, კერძო სამართლის მიმართულებით მომუშავე იურისტებს ეძლევათ მოტივაცია, ერთი შეხედვით მცირე თანხიან საქმეებზე მოითხოვონ კანონის აღსრულება. მომჩივნებისათვის ერთ საქმეში გაერთიანება და მეორე მხრივ მცირე თანხების აკუმულირებით წარმომადგენლობის ხარჯების დაფრვა და სავსებით რეალურია. ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის შემაკავებელი ხასიათიდან გამომდინარე კორპორაციებს ეძლევათ სტიუმული უარი თქვან მავნე პრაქტიკებზე და საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანონ კანონთან და საბაზრო ეკონომიკის ყველაზე უფრო საღ ეთიკურ პრინციპებთან.[25]

აშშ-ში ჯგუფური სარჩელის უნივერსალურმა მარეგულირებელმა პრინციპმა შესაძლებელი გახადა სამართალწარმოება დაწყებულიყო და მიღებულიყო ხელშესახები შედეგი განსხვავებული ტიპის საქმეებზე, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული საქმის სპეციფიკა მოითხოვს პროცედურულ დაზუსტებას ან დამატებას მეტი ეფექტიანობის მისაღწევად.

როგორც წესი ჯგუფური საქმისწარმოება ეხება შემდეგი კატეგორიის საქმეებს: მომხმარებელთა უფლებები, რომელთაც განიცადეს ეკონომიკური ზარალი; უსაფრთხოებისა და არასანდო კორპორაციული საქმიანობის საქმეები; გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საქმეები;

[24] იქვე. P.2
[25] იქვე. P.2

სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული საქმეები; “Mass torts” -საქმეები, რომელიც მსგავსია ჯგუფური სარჩელის, თუმცა მისგან განსხვავებით ხასიათდება იმ ნიშნით რომ მიყენებული ზიანი დიდი ოდენობისაა და ღირებულს ხდის სარჩელის ინდივიდუალურად აღძვრას, ამასთან ეფექტურობა იზრდება თუ ასეთი სარჩელი ჯგუფურად იქნა წარდგენილი იმ შემთხვევაში ცალკეული გარემოებები და სამართლებრივი საკითხები საერთოა.[26]

ჯგუფური სარჩელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს ფედერალური საკანონმდებლო აქტი : “Class Action Fairness Act of 2005”. აღნიშნული აქტი დაინტერესებულლ პირებს სთავაზობს სარჩელის აღძვრის, უკან გამოხმობის, დავის მორიგებით დამთვარების კომპლექსურ წესებს ფედრალურ დონეზე, იგი წარმოადგენს უნივერსალურ საკანონმდებლო აქტს. უილიამ რუბენშტეინი კონცეპტუალური, დოქტრინალური და პრაქტიკული თვალსაზრისით ხსნის, თუ რა სარგებელი ან რა გავლენა აქვს ჯგუფური სარჩელთან დაკავშირებულ ფედერალურ საკანონმდებლო რეგულაციებს. ავტორი უპირველეს ელემენტად ასახელებს ჯგუფური სარჩელის სამართალწარმოების წარმომადგენლობით ბუნებას, სადაც წარმომადგენელები საკუთარი მანდატის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სასარჩელო მოთხოვნისა და წარმოების მიმართულებებს, იმგვარად რომ საბოლოო გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ჯგუფის იმ წევრებზე რომელთაც უშუალო კონტაქტი, საქმიანი შეხება არ ჰქონიათ თავის წარმომადგენლებთან. ჯგუფის ასეთი წვერები მოიხსენიებიან არაიდენთიფიცირებულ პირებად (Absent members). პრაქტიკული თვალსაზრისით, ჯგუფური სარჩელთან დაკავშირებული საქმეების უმეტესობა არ მიდის სასამართლოში განსახილველად, ვინაიდან მოსარჩელეები და მოპასუხეები ურთიერთშეთანხმების გზით აღწევენ

[26] იქვე. P. 2-3.

ფინანსურად ხელსაყრელ შეთანხმებას, რითაც საბოლოოდ თმობენ სამართლებრივ უფლებებს ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ.[27]

ჯგუფური სარჩელის თანამედროვე სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებამდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკმაოდ დიდი გზა გაირა. ასეთი ინსტრუმენტები ჯერ კიდევ 19-ე საუკუნის შუიდან შეიმჩნეოდა, მაგრამ თანამედროვე ფედერალურ წესების შემუშავებას საფუძველი 1938 წლიდან ჩაეყარა, როდესაც ფედერალურ წესებში ჩაწერილი იქნა 23-ე წესი, 1966 წელს ამავე წესში შევიდა ცვლილებები, რამაც ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები უფრო დახვეწა და ეფექტური გახადა. 1966 წლამდე ჯგუფური სარჩელის პროცედურები მომჩივანისთვის უზრუველყოფდა მოთხოვნის დააკმაყოფილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი სავალდებულო წესით მონაწილეობდა საქმის წარმოებაში, თუმცა ასეთი წესი მომჩივანთა რიცხოვნობის ზრადსთან ერთად აჩვენებდა თავის არაპრაქტიკულ განუხორციელებად ბუნებას. 1966 წლის დამატებებით სასამართლოებს მიეცათ საშუალება ჯგუფად დაეკვალიფიცირებინა პირთა განუსაზღვრელი რაოდენობა, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებით ისარგებლებდნენ ის წევრებიც, რომლებმაც უშუალოდ არ წარადგინეს სარჩელი ან არც კი იცოდნენ პროცესის მიმდინარეობისას საქმის ვითარების შესახებ. შემდეგი ეტაპის ცვლილებებმა ამერიკის შტატებისთვის დააწესა უნუფიცირებული წესები, რომლითაც ნებისმიერ მოქალაქეს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა უფლებით მიუხედავად იმისა თუ რომელ შტატში იყო რეგისტრირებული. ამით ფაქტიურად დაძლეული იქნა ზედმეტი ბიუროკრატიული წინაღობები, რაც ხელს უშლიდა პირებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენებაში.[28]

---

[27] "Understanding of Class Action Fairness Act of 2005", Professor William B. Rubenstein, UCLA program of class action,2005,P.2

[28] Nicholas M. Pace, RAND Institute for Civil Justice, Santa Monica, California, U.S.A, CLASS ACTIONS IN THE UNITED STATES OF AMERICA: AN OVERVIEW OF THE PROCESS AND THE EMPIRICAL LITERATURE

როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ახალი არ არის ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემისთვის, ასეთი ტიპის სამართალწარმოებები დაახლოებით იმდენ ხანს ითვლის რასაც ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემა. თანამედროვე გაგებით კი ჯგუფური სარჩელის აღძვრისას მოსარჩელედ გვევლინება წარმომადგენელი ან წარმომადგენლები, რომლებიც მოპასუხის წინააღმდეგ გამოდიან მთლიანი ჯგუფის სახელით, მათ შორის ჯგუფის იმ წევრების სახელითაც, რომლებსაც უშუალოდ არ გადაუციათ უფლებამოსილება წარმომადგენლებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის მიზნებსა და მიზანშეწონილობას ასაბუთებს შემდეგი მიმართულებით: 1. სამართალწარმოების ეკონომიურობის პრინციპი - სამართალწარმოების წარმართვა ზოგავს დროს, ენერგიას და მატერიალურ რესურსს პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის, იქნება ეს სასამართლო აპარატი თუ მოსარჩელეები. ჩვეულებრივი წესის გამოყენების შემთხვევაში სარჩელები წარდგენილი და განხილული უნდა იქნას ინდივიდუალურად, ხოლო ჯგუფური სარჩელის გზით კი ერთი სამართლებრივი დავის გადაწყვეტა იძლევა დაკმაყოფილებას, როგორც მოსარჩელისთვის, ასევე დანაზოგს საქმეში მონაწილე სხვა პირებისთვისაც. ამ ფაქტორის მოხმობით უზენაესი სასამართლო ხაზს უსვამს გარემოებას როდესაც ინდივიდუალური სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება იყოს იმდენად მცირე რომ პირს არ უღირდეს ინდივიდუალურად საქმის აღძვრა, ხოლო რამდენიმე ასეული ასეთი სარჩელის ერთ წარმოებაში გაერთიანებით შესაძლებელი ხდება პირების ეკონომიკური ზიანისგან დაცვა და კომპანიების პასუხისგებაში მიცემა, რომელთა უკანონო ქმედებამაც ადამიანები აზარალა. მეორე მხრივ ასეთი პროცედურების არ არსებობის შემთხვევაში, კომპანიები წახალისებული იქნებიან კრიმინალური, უკანონო საქმიანობისკენ რამეთუ ადამიანებს არ ექნებათ მოტივაცია დაიცვან

უფლებები, სასამართლო ხარჯებისა და მიყენებული ზიანის აშკარა დისბალანსის გამო.

2.მოპასუხეების დაცვა ცვალებადი გადაწყვეტილებებისგან- ამ თვალსაზრისით უზენაესი სასმართლო განმარტავს, რომ მოპასუხეებს რომელთა წინააღმდეგადაც არის აღძრული სარჩელი, ექმნებათ მოლოდინი საქმის საბოლოოდ დასრულების და ეძლევათ შესაძლებლობა განჭვრიტონ საკუთარი მდგომარეობა და ბიზნესსაქმიანობა, აღნიშნული ნაკლებად მიღწევადი იქნებოდა თუ პროცესები წარიმართებოდა ინდივიდუალურად, რის შედეგადაც მოპასუხე გრძელვადიან პერსპექტივაში აღმოჩნდებოდა მუდმივი დაძაბულობისა და განსხვავებული შედეგების მოლოდონის რეჟიმში.[29]

კონცეპტუალური თვალსაზრისით ანალიზის სრულყოფისათვის, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის ისეთ მხარეებზე, რამაც შეიძლება თეორიულ დისკურსში ამავე ინსტიტუტის საწინაღმდეგო მიმართულებით შეიძლება იმოქმედოს. რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, ჯგუფურ სარჩელის ინსტიტუტის პრაქტიკაში მოქმედებას უკავშირდება. კერძოდ, ბიზნეს კომპანიები შეიძლება დადგნენ უზარმაზარი ფინანსური პასუხისმგებლობის წინაშე, როდესაც ნაკლებად მომგებიანი საქმის აღძვრის შემთხვევაში არაკეთილსინდისიერი მოსარჩელეებისა და შესაძლო ფინანსური პასუხისმგებლობის გამო მოუწიოთ ისეთი დავის მოგვარება, რომელიც არ იმსახურებს დაკმაყოფილებას, რათა თავიდან აიცილონ კომპანიის დაზიანება. ასეთი რისკების მიუხედავად, არ შეიძლება ისეთი განზოგადებული სურათის შექმნა თითქოს ყველა ჯგუფური სარჩელი სპეკულაციურია და არ იმსახურებს დაკმაყოფილებას. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში არსებობდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ჯგუფური სარჩელი აღძრული იყო სპეკულაციური,

[29] Class Action Lawsuits: A Legal Overview for the 115th Congress, Kevin M. Lewis Legislative Attorney, Wilson C. Freeman Legislative Attorney, April 11, 2018; P. 1-3.

არასუბსტანციური მოთხოვნებისთის, თუმცა სასამართლომ ასეთი საქმე შეწყვიტა, ვინაიდან სცილდებოდა საღი აზრის პერსონალური პასუხისმგებლობის ფარგლებს.[30] სხვა მხრივ ასეთი რისკების არგუმენტად მოყვანა ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის წინააღმდეგ, მოკლებულია საპირისპირო არგუმენტის წონას, ვინაიდან სასამართლოს პროცედურული და არსებითი მატერიალური კონტროლის საშუალებით, პრაქტიკულად გამორიცხულია ზედაპირული სპეკულაციური სარჩელების დაკმაყოფილება, ამასთან ბიზნეს სუბიექტებსაც შესწევთ საკმარისი რესურსი დაიცვან საკუთარი ინტერესები სპეკულაციური სუბიექტებისგან.

ვინაიდან ჯგუფური სასარჩელო წარმოების არსებითი განმსაზღვრელი ნიშანი წარმომადგენლობითი მონაწილეობაა, აღნიშნულ ელემეტს უკავშირდება მომდევნო არგუმენტი ამ ინსტიტუტის სარისკო ბუნების შესახებ. ვინაიდან სამართალწარმოების პროცესში პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა დაინტერესებული მოსარჩელის უშუალო მონაწილეობა, წარმომადგენლობას მთლიანი ჯგუფის სახელით ახორციელებენ პირები, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან საქმისწარმოებაში, შესაბამისად არსებობს ვარაუდი, რომ ისინი ისეთივე გულმოდგინებით არ მოეიკდებიან სხვა პირების ინტერესებს, როგორც საკუთარს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, ჯგუფური სარჩელის მთავარი მახასიათებლი ის არის, რომ ჯგუფის წევრებს იდენტური მდგომარეობა აერთიანებთ, თუ რომელიმე წევრი იბრძვის საკუთარი ინტერესებისთვის გულმოდგინედ ეს ნიშნავს რომ ამ გულმოდგინების ნაყოფით ის წევრებიც ისარგებლებენ, როლებიც არ გარჯილან უშუალოდ. მეორეს მხრივ სასამართლო ამოწმებს ხომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მოსარჩელეებს შორის, თუ არსებობს მოსარჩელის მხრიდან სხვა საქმეში ინეტრესი, მისი წარმომადგენლობა საქმეში გამოირიცხება.

[30] Class Action Lawsuits: A Legal Overview for the 115th Congress, Kevin M. Lewis Legislative Attorney, Wilson C. Freeman Legislative Attorney, April 11, 2018; P. 5.

ხსენებული სასარჩელო წარმოების პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ იურისტებს, რომლებიც მუშაობენ ამ საქმეზე მიეცათ ფინანსური სტიმული დიდი ინტერესით მოეკიდონ ჯგუფურ სარჩელებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თანხების აკუმულირება ზრდის შანსებს მაღალი ანაზღაურება მიიღონ გაწეული იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ, სწორედ ამ ფაქტორს უკავშირდება გამოთქმული ვარაუდ,ი რომ იურისტები ყოველთვის შეეცდებიან ფინანსური ინტერესის გამო ფორმალურად ჩაერთონ საქმეში და გულგრილად მოეკიდონ იმ პირთა საქმეებს რომელთანაც კონსულტაცია არც კი ჰქონიათ. ეს უკანასკნელი არგუმენტი უნდა განვიხილოთ საადვოკატო ეთიკის პრობლემად და პრობლემის გადაწყვეტა სამართლის ამ სფეროში უნდა ვეძიოთ, ვინაიდან საჯარო ინტერესის დამცველი ინსტიტუტი ვერ იქნება პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არაკეთლსინდისიერ საადვოკატო საქმიანობასთან.[31]

თუ როგორ მუშაობს ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებული სამართალწარმოება, განვიხილოთ ის პროცედურები რომელიც ფედერალური კანონმდებლობის 23-ე მუხლითაა განსაზღვრული. პირველი აუცილებელი ნიშანი აღნიშნულთან მიმართებაში არის ის, რომ რომელიმე სუბიექტის მავნე ქმედებისგან გამოწვეული მატერიალური ან/და არამატერიალური ზიანი უნდა ადგებოდეს ადამიანთა ფართო წრეს, როგორც ფედერალური კანონმდებლობის 23-ე მუხლის „ა“ პუნქტი განსაზღვრავს

ჯგუფის სერთიფიცირება - იმისათვის რომ წარდგენილმა ჯგუფური სარჩელი სასამართლოს მხრიდან აღიარებული იქნეს საქმისწარმოებისათვის ვარგის დოკუმენტად, აღნიშნულმა უნდა გაიაროს და დააკმაყოფილოს სერტიფიცირებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები.

[31] Class Action Lawsuits: A Legal Overview for the 115th Congress, Kevin M. Lewis Legislative Attorney, Wilson C. Freeman Legislative Attorney, April 11, 2018; P. 5-6.

კერძოდ სერთიფიცირების პროცესისთვის აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- ჯგუფის წევრთა რაოდენობა იმდენად დიდია რომ მათი პროცესში ინდივიდუალურად ჩართვა არაპრაქტიკულია.
- ჯგუფის წევრებისთვის სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული სამართლებრივი მოთხოვნები და ფაქტობრივი გარემოებები უნდა იყოს იდენტური
- მოსარჩელეებად დასახელებულ პირების პრეტენზიები უნდა იყოს იდენტური იმ პირების პრეტენზიებისა, რომლებიც არ არიან იდენთიფიცირებული მოსარჩელე პირებად ფორმალური თვალსაზრისით. (მათი ვინაობა , პირადი რეკვიზიტები უცნობია) ამასთან ნებისმიერი დაცვითი სტრატეგია და მექანიზმი უნდა იყოს იდენტური ჯგუფის იდენთიფიცირებული და არადიენთიფიცირებული წევრებისთვის.
- ჯგუფის წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანი და ადეკვატური დაცვა ჯგუფის ყველა არსებული და შესაძლო წევრისათვის. სერთიფიცირების ამ საფეხურზე ასევე მოწმდება და წყდება წარმომადგენლობის უფლების მქონე პირებისთვის მოსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხი.

სასამართლო შეტყობინება-სასარჩელო წარმოების დაწყებისას საქმის მოზმადების ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჯგუფის წევრებისთვის სასამართლო შეტყობინებას, რაც გულისხმობს სასამართლო წარმოებისას უნდა დარწმუნდეს ჯგუფის წევრები იღებენ თუ არა სასამართლო შეტყობინებას ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და პრაქტიკული საშუალებით, ისეთი გზით, როგორიცაა შეტყობინების ადრესატისთვის ინდივიდულაურად გადაცემა, ჩაბარება. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასამართლო შეტყობინების შინაარს, რომელიც დარეგულირებულია 23-ე მუხლით. უფრო კონრეტულად, შეტყობინება გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი და მოიცავდეს ინფორმაციას საქმის ბუნების შესახებ, პირის უფლებას გამოეყოს წარმოებას და საერთო ჯგუფს, უწყება ასევე შეიცავს იფორმაციას, განმარტებებს შესაძლო სამართლებრივი

შედეგების შესახებ. თუ პირს სასამართლო უწყება პირადად ბარდება, აღნიშნული გულისხმობს, რომ კონკრეტული სუბიექტი იდენთიფიცირებული პირია საქმეში და თუ მხარეები დავას მორიგებით ამთავრებენ, იდენთიფიცირებული პირებისთვის დავის მორიგებით მოგვარების შეტყობინების გაგზავნა ასევე სავალდებულოა. ამ დროს პირი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას გამოეყოს ჯგუფს, წამოაყენოს საკუთარი პირობები ან სულაც დათანხმდეს მორიგების პირობებს. ჯგუფური სარჩელის ბუნებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად შეტყობინების გაგზავნა ყველა წევრისთვის შეუძლებელია, ამიტომ შეტყობინების ვალდებულება ხორციელდება საჯარო შეტყობინების გზით.

გამოყოფის უფლება- პირი რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული ჯგუფური სარჩელის საქმესთან ან ამ საქმის შედეგები გავლენას ახდენს ამ პირის მდგომარეობაზე, ასეთ პირს გააჩნია გარანტირებული უფლება გამოეყოს ჯგუფს ყოველგვარი სავალდებულო დასაბუთების გარეშე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მას უნარჩუნდება უფლება წარადგინოს ინდივიდუალური სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ.[32]

2.2 ჯგუფური სარჩელის მხარეები

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საპროცესო წესების მე-4 თავი ეძღვნება სამოქალაქო პროცესის მონაწილე მხარეებს, ფედრალური კანონმდებლობის 17-ე მუხლის A ნაწილი განსაზღვრავს დაინტერესებული პირის ცნებას. ასეთ პირად მიიჩნევა პირი , რომელსაც გააჩნია რეალური დაინტერესება საქმის მიმართ.[33]

ჯგუფური სარჩელის მხარეებად გვევლიანებიან მოსარჩელე და მოპასუხეები. მოსარჩელედ განიხილება პირი, რომელსაც საქმისადმი გააჩნია იურიდიული ინტერესი. მოსარჩელეთა რაოდენობა ლიმიტირებული არ არის. როგორც წესი, სარჩელს წარადგენს ერთი ან

[32]What is a “Class action”? By David Goguen
[33] Federal rule of civil procedure. Rule 17

რამდენიმე მოსარჩელე. საინტერესო საკითხია განიხლებიან თუ არა პირები რომლებიც არ მონაწილეობენ სამართალწარმოებაში მხარეებად. სამოქალაქო სამართალწარმოების ფედრალური წესები ამ საკითხს ღიად ტოვებს[34].

პირებისთვის, რომლებიც საქმეში არ არიან უშუალოდ ჩართულნი საქმეში, მხარის სტატუსის მინიჭება პრობლემური საკითხია.ამერიკული სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვნად ეკიდება აღნიშნულ საკითხს, ხშირად საქმეში საპროცესო მონაწილეობის მიღმა მყოფი პირები არ იღებდნენ მხარის სტატუსს. მოპასუხეს კი ეძლეოდა შესაძლებლობა შეემუშავებინა ისეთი ტაქტიკა, რაც უარს ათქმევინებდა მოსარჩელეებს სამართალწარმოებაზე. ამით მთლიანი ჯგუფური სარჩელის სამართალწარმოება დარტყმის ქვეშ დგებოდა.[35]

სამართალწარმოებაში მოსარჩელეები გვევლინებიან წარმომადგენლადაც, რომლებიც საკუთარ უფლებებს იცავენ დაქირავებული ადვოკატების მეშვეობით. ხშირად საქმეში შესაძლებლია მონაწილეობდეს რამდენიმე ადვოკატიც.[36] ამ შემთხვევაში წარმომადგენლად დასახელებული მოსარჩელეები უნდა მივიჩნიოთ მხარეებად, ვინაიდან მათ გააჩნიათ სარჩელთან დაკავშირებული სამართლებრივი ინტერესი. მოსარჩელეების მიერ დაქირავებული ადვოკატი კი პროცესის მონაწილე მხარეა, რომელიც ეწევა იურიდიულ მომსახურებას კლიენტის სასარგებლოდ და არ წარმოადგენს მხარეს.

ჯგუფური სასარჩელო წარმოების დროს მოსარჩელეებთან ერთად პროცესის მხარეებად გვევლინებიან მოპასუხეები. როგორც წესი

[34] Joan E. Steinman, The Party Status of Absent Plaintiff Class Members: Vulnerability to Counterclaim, IIT Chicago-Kent College of Law, March 1981.P.1171
[35] იქვე. P.1173
[36] გია ლილუაშვილი, ჯგუფური სარჩელები აშშ-ი და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, სამართლის პრობლემები, რომან შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2012.

მოპასუხეების როლში არიან კომპანიები, ასევე კერძო პირები[37]. ამერიკული ფედრალური წესები ცალკე არ იძლევა მოპასუხის განმარტებას ჯგუფურ სარჩელთან მიმართებით, როგორც აშშ-ის ფედრალურ საპროცესო კანონმდებლობის 17-ე მუხლი განსაზღვრავს მხარედ მიიჩნევა პირი რომელსაც გააჩნია რეალური ინტერესი საქმეში(Real party in interest). სამართლებრივი განმარტების თვალსაზრისით ასეთ პირში მოიაზრება სუბიექტი, რომელსაც აქვს არსებითი ინტერესი სარჩელის მიმართ და არა ის პირები, რომლებიც ტექნიკურად არიან დაკავშირებული საქმესთან.[38] ამ თვალსაზრისით კი როგორც მოსარჩელეს გააჩნია პირდაიპირი ინტერესი მიიღოს სარგებელი სარჩელის გზით, ასევე მოპასუხეს გააჩნია უფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები და აირიდოს სარჩელიდან გამომდინარე მატერიალური თუ მისთვის საზიანო რაიმე სახის ტვირთი.

პროცესში მონაწილე მხარეებად როგორც ვხედავთ მოიაზრება მოსარჩელე და მოპასუხე. სამართალწარმოების პორცესში მონაწილე გარკვეული უფლლებამოსილებები განმახორციელებელი პირები შეიძლება მივიჩნიოთ პროცესის მონაწილე პირებად და არა მხარეებად.

2.3 ჯგუფური სარჩელის განსხვავება თანამონაწილეთა სარჩელისგან

ჯგუფური სარჩელი სიტყვასიტყვით გაგებით და განმარტებით მოიაზრებს პირთა 2 ან მეტ რაოდენობას, რომლებიც ერთიანდებიან გარკვეული სამართლებრივი საკითხის გაშემო ერთ სარჩელში რაიმე სახის სამართლებრივი შედეგის მისაღწევად. აზრობრივი მიმართებით იგივე შინაარსის მატარებელია ინგლისური ტერმინები „class action" , "group action", collective actions", "joinder of parties". ჯგუფური მოქმედების

[37] The Lawsuit Process: How Class Actions Work-https://www.classaction.org/learn/how-lawsuits-work
[38] https://definitions.uslegal.com/r/real-party-in-interest/

მაგალითია საპროცესო თანამონაწილეობის სამართლებრივი პროცედურა. ყველაზე უზოგადესი გაგებით ამ ტერმინებს შორის მსგავსება მართლაც თვასაჩინოა, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით თუ რა პროცედურებსა და სამართლებრივ შედეგებ მოიცავს ესა თუ ის ჯგუფურად განხორციელებული მოქმედება, ტერმინები განსხვავებულ შინაარსს იძენს. მაგალითისათვის ჯგუფური სარჩელი (class action) და საპროცესო თანამონაწილეობა (joinder of parties) ერთმანეთისგან განსხვავდება.

ჯგუფური სარჩელი, სარჩელის ისეთი სახეა რა დროსაც ერთი ან რამდენიმე მოსარჩელე იწყებენ სამართალწარმოებას მთლიანი ჯგუფის სახელით, ფულადი გადასახდლები ან ჯარიმები რომელიც მოპასუხეს დაეკისრება ნაწილდება მთლიანი ჯგუფის წევრებს შორის.[39]

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის 23-ე მუხლი იწყება განმარტებით, რომ ჯგუფის ერთ ან რამდენიმე წევრს შეუძლია აღძრას სარჩელი და გამოვიდნენ წარმომადგენლებად ჯგუფის ყველა წევრის სახელით, თუ ჯგუფის წევრთა რაოდენობა იმდენად დიდია რომ სასამართლო პროცესში მათი მონაწილეობა არაპრაქტიკულია. ჯგუფის[40] ჯგუფის ყველა წევრისათვის სამართლისა და ფაქტის საკითხები საერთოა. მოსარჩელეთა წრიდან, რომლებმაც უშუალოდ წარადგინეს სარჩელი, ინიშნება წარმომადგენელი , რომლებიც სამართლიანად და ადეკვატურად დაიცავენ ჯგუფის დანარჩენი წევრების ინტერესებს.[41]

ჯგუფური სარჩელის პირველივე დებულება ხაზს უსვავს წარმომადგენლის მეშვეობით სამართალწარმოების განხორციელებას, რაც ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაძენად საკმარისია ჯგუფის წარმომადგენლად დასახელებულ პირს და სხვა წევრებს აკავშირებდეთ საერთო ინტერესები, რომელიც სამართლისა და

[39] Adam Hayes, class action, January 12, 2020

[40] იგულისხმება ჯგუფის ყველა წევრი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროცესში ასევე ის წევრებიც რომლებიც ფორმალურ სამართლებრივი თვალსაზრისით არ ჩართულან პროცესში.

[41] Federal rules of civil procedure, Rule. 23

ფაქტის იდენტურობაში მოიაზრება. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად არ არის აუცილებელი ჯგუფის ყველა წევრის თანხმობა, ან წარმომადგენლობის გაფორმება ფორმალურ-სამართლებრივი წესით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმომადგენლებს ჯგუფის მრავალრიცხოვან წევრებთან არ აქვთ უშუალო შეხება.[42]

ფორმალურ სამართლებრივი თვალსაზრისით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას პირი აღჭურვავს სხვა პირს იქმომედოს მისი სახელით, განხორციელოს საპროცესო მოქმედებები და სამართლებრივი შედეგი ამ შემთხვევაში მასზე ზეგავლენას ახდენს მთლიანად, მას ვერ გაემიჯნება რადგან უშუალოდ წარმომადგენელი მონაწილეობდა პროცესში. წარმომადგენლის ეს სახე გამოიყენება საპროცესო თანამონაწილეობის დროს. ჯგუფური სარჩელთან მიმართებით საქმე სხვაგვარადაა. მხარეთა სრული შემადგენლობა არ ირჩევს წარმომადგენელს ფორმალური თვასაზრისით, იმ გარმოებიდან გამომდინარე რომ მოსარჩელეთა ან მოპასუხეთა მრავალრიცხოვნობის გამო ჯგუფის ყველა წევრის იდენთიფიცირება შეუძლებელია, არაპრაქტიკულია. საპროცესო წარმოებაში წარმომადგენლად ჩაერთვება პირი ან პირები რომლებიც სახეზე არიან და მათი წარმომადგენლად გაფორმებას უზრუნვეყოფს სასამართლო.

ჯგუფური სარჩელის სპეციფიკურ სამართლებრივ ბუნებას წარმომადგენლობითი თავისებურების გარდა, განსაზღვრავს სავალდებულო და არასავალდებულო მონაწილეობის (“opt in” and “opt out”) ხასიათი წარმოების მიმდინარეობისას. ჯგუფური სარჩელის საფუძველზე დაწყებული სამართალწარმოებისას ჯგუფის ყველა წევრისათვის არ არის აუცილებელი რაიმე ფორმალური პროცედურების განხორციელება პროცესში ჩასაბმელად, ჯგუფის განსაზღვრას ახდენს სასამართლო. ჯგუფში მოიაზრება ყველა სახეზე მყოფი და არ მყოფი პირები, რომელთაც შესაძლოა

[42] Estelle Hunter, Opting in or opting out in class action proceedings: from principles to pragmatism?

ზიანი მისდგომოდათ მოპასუხის უკანონო ქმედებისგან ან ზოგადად გააჩნიათ გარკვეული სამართლებრივი ინტერესი სარჩელთან მიმართებით.[43] აქვე აღსანიშნავია ფაქტი, რომ პირებს საკუთარი დაკმაყოფილების მისაღებად არ მოუწევთ გარკვეული სამართლებრივი ქმედების შესრულება პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ პირს მოეთხოვება წარადგინოს გარკვეული განაცხადი რათა მიიღოს საკუთარი წილი კომპენსაცია გადაწყვეტილებიდან.[44]

აშშ-ის ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საპროცესო თანამონაწილეობის ორ ფორმას განსაზღვრავს: ამერიკული სამოქალაქო ფედერალური კანონმდებლობის 19-ე მუხლი სავალდებულო თანამონაწილეობის (Required joinder of parties) მარეგულირებელ ნორმებს აყალიბებს. სავალდებულო თანამონაწილედ განიხილება პირი, რომელიც საჭიროებს პროცესუალურ სერვისს, მოსახურებას და რომლის თანამონაწილეობაც აუცილებელია, რათა არ დარჩეს სასამართლო იურისდიქციის ყურადღების მიღმა. პირის მონაწილეობა პროცესში სავალდებულოა, რომლის გარეშეც არ შეუძლია მიიღოს სასამართლოს სრულყოფილი გადაწყვეტილება არსებული მხარეებისთვის; თუ პირს გააჩნია ინტერესი სარჩელის საგანთან და ამ პირის საქმეში ჩაურთველობამ შეიძლება გამოიწვის ამავე პირის ინტერესის დაცვის შესაძლებლობის დასუსტება, დაბრკოლება ან არსებული მხარეებს გაუზარდოს ვალდებულებები.

სავალდებულო თანამონაწილეობის პირობების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ბრძანებით ჩართოს პირი თანამონაწილედ. თუ პირი უარს განაცხადებს მონაწილეობაზე გამოვიდეს მოსარჩელედ მაშინ ის შეიძლება ჩართული იქნეს მოპასუხედ, ხოლო განსხაზღვრულ შემთხვევებში პირის თანამონაწილეობა შეიძლება ატარებდეს იძულებით ხასიათს.

---

[43] How to Join a Class Action,-https://www.classaction.org/learn/how-to-join

[44] იქვე

იმ შემთხვევაში თუ პირის სასამართლო პროცესში ჩაბმა თანამონაწილე პირად პრაქტიკულად შეუძლებელია, სასამართლო თანასწორობისა და კეთილგონიერების ფარგლებში მსჯელობს გაგრძელდეს თუ არა პროცესი არსებულ მხარეებს შორის თუ საერთოოდაც უნდა შეწყდეს იგი. მხედველობაში მისაღებია შემდეგი ფაქტორები:

- თუ რამდენად მიადგება ზიანი არმყოფ პირს გამოტანილი გადაწყვეტილებით ან შეიქმნება თუარა ასეთი ზიანის საფრთხე უკვე არსებული მხარეებისთვის.
- სამართლომ უნდა დაადგინოს გონივრული ფარგლები, რომლითაც შემცირდება ზიანი ან საერთოდაც თავიდან იქნება აცილებული დამცავი ღონისძიებების დადგენით.

ფედერალური კანონდებლობის მე-19 მუხლი ასევე ითვალისწინებს დათქმას, რომ სასამართლოში განაცხადის წარდგენისას პირებმა მიუთითონ იმ პირის საჭირო რეკვიზიტები, რომელიც არ არის წარმოდგენილი განაცხადის მხარედ და განმარტონ მიზეზი თუ რატომ არ არის ეს პირი საქმეში.[45]

როგორც სავალდებულო თანამონაწილეობის ამერიკული მოდელის ანალიზიდან იკვეთება სავალდებულო თანამონაწილეობის ნორმების მიზანი არის როგორც არმყოფი პირის , ისე საქმეში უკვე არსებული პირების ინტერესების დაცვა. სავალდებულო თანამონაწილეობის ამერიკული წესები შეიცავს დათქმას, რომ ეს წესები არ ვრცელდება ჯგუფურ სარჩელებთან მიმართებით[46].

ამდენად, რომ შევაჯამოთ სავალდებულო თანამონაწილეობისა და ჯგუფური სარჩელის მახასიათებლები, სავალდებულო წესით ჯგუფური სარჩელის დროს მხარის ჩართვა პროცესში არ ხდება, სასამართლოსთვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას თუ რომელიმე წევრი უშუალოდ ჩართული არ იქნება პროცესში. სასამართლოს ერთადერთი ვალდებულებაა სწორად განსაზღვროს ჯგუფის ცნება და მიიღოს გადაწყვეტილება, შემდეგ მხარეები

[45] Federal rules of civil procedure, Rule19 Required joinder of parties ,
[46] Federal rules of civil procedure, Rule 19 (d)

თვითონ გადაწყვეტენ გამოეყონ და ცალკე დაიწყონ სასარჩელო წარმოება თუ დარჩნენ ჯგუფის წევრებად და მიიღონ თავისი წილი კომპენსაცია საერთო წილიდან.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პირთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ თანამონაწილეობის ნაცვლად უმჯობესია გამოყენებული იქნას ჯგუფური სარჩელი, პრობლემას ართულებს ის გარემოებაც, რომ ხანდახან შეუძლებელი ხდება პირის მოძიება ვინც უნდა მონაწილოებდეს პროცესში. განსხვავებით საპროცესო თანამონაწილეობისგან, სადაც გადაწყვეტილება ვრცელდება უშუალოდ პროცესში მონაწილე პირებზე, ჯგუფური სარჩელის პროცედურის მიმდინარეობისას ჯგუფის სახელით მონაწილეობს ერთი ან რამოდენიმე პირი, მათ მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედება ჯგუფის გამოუცხადებელი წევრების ქმედების ტოლფასია[47].

ფაკულტატური თანამონაწილეობის (Permissive Joinder of Parties) საკითხს ეხება ფედერალური წესების 20-ე მუხლი. სამართლისა და ფაქტის საერთო საკითხების არსებობის შემთხვევაში, რომელიც წარმოიშვა ერთი და იგივე გარიგებიდან ან მოქმედებიდან, პირებს მიენიჭებათ უფლებამოსილება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად აღძრან სარჩელი. თანამონაწილე ამ შემთხვევაში პროცესში მონაწილეობს დამოუკიდებლად. სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გააერთიანოს ან ცალკე წარმოებად გამოყოს სარჩელები.[48]

საპროცესო თანამონაწილეობის დროს, სასამართლო განსაზღვრავს თუ რა ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს სამართლებრივი მოთხოვნები. თუ სარჩელში რომელშიც აკუმულირებულია რამდენიმე მოთხოვნა, სასამართლო აკმაყოფილებს მხოლოდ იმ ნაწილს ან იმ მოთხოვნას რომელიც მიესადაგება რომელიმე მოსარჩელეს უფლებას. ამერიკული ფედერალური კანონმდებლობა პირს იცავს სასამართლო პროცესთან

[47] გია ლილუაშვილი, ჯგუფური სარჩელები აშშ-ი და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, სამართლის პრობლემები, რომან შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2012 წ.გვ.7
[48] იქვე. გვ.5

დაკავშირებული მავნე შედეგებისგან იმ გაგებით რომ თუ პირი საპროცესო თანამონაწილეობასთან დაკავშირებული პირია, მაგრამ მის მიმართ არ არის წაყენებული მოთხოვნები, სასაჩელო მოთხოვნები არ ვრცელდება ამ პირზე, მასზე ასევე არ გავრცელდება გადაწყვეტილების უარყოფითი შედეგები და სასამართლო ხარჯები, რაც შეიძლება ამ პირისთვის უსამართლო ფსიქოლოგიური და მორალური ზიანის მომტანი იყოს. არა სამართლიანი შედეგების თავიდან ასაცილებლად, სასამართლო ბრძანებით გამოაცალკევებს წარმოებას საერთო წარმოებისგან.[49]პრაქტიკულ მაგალითზე აღნიშნული დებულება შეიძლება გავიგოთ შემდეგნაირად; თუ საპროცეო თანამონაწილეობაში პირი ჩართულია თანამოპასუხედ და მისი პასუხიმგებლობა გაცილებით მცირეა ვიდრე სასარჩელო მოთხოვნაა, სასამართლოს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს საქმე და დაიცვას პირი იმ შედეგბისგან, რაც სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას და სასამართლო პროცესს მოჰყვება.

ქართული საპროცესო თანამონაწილეობის მოდელის ანალიზისას როგორც ავღნიშნეთ, სავალდებულო თანამონაწილეობა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ბუნება საპროცესო სამართლის ნორმების სისტემური ანალიზის შედეგად ვლიდნება. სავალდებულო თანამონაწილეობის დროს თუ პროცესს ესწრება რომელიმე მხარის ერთი თანამონაწილე მაინც გადაწყვეტილება ყველა თანამოსარჩელის ან თანამოპასუხის მიმართ ერთნაირი შედეგით დგება. ასეთი ერთგვაროვანი სიტუაცია არ არის ფაკულტატური თანამონაწილეობის დროს , კერძოდ თუ პროცესს ესწრება რომელიმე მხარის წარმომადგენელთა ნაწილი გადაწყვეტილების შედეგი დგება მხოლოდ ამ პირების მიმართ.

არაერთგვაროვანი მიდგომის ახსნა ამერიკულ ინსტიტუთან პარალელის გავლებით შეიძლება ვეძიოთ, თითქოსდა ეს მოსარჩელეების ან მოპასუხეების დაცვის მოტივით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ასეთი

[49] Federal rules of civil procedure , Rule 20. Permissive joinder of parties

პარალელი არასრულყოფილი იქნებოდა, თუ მხედველობის მიღმა დავტოვებდით გარემოებას, რომ ქართულ სასამართლოს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს გარკვეული სასარჩელო მოთხოვნები შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში. სწორედ აქ წამოიჭრება კითხვა მაშინ რას ემსახურება ფაკულტატური თანამონაწილეობის დროს გადაწყვეტილების მხოლოდ დამსწრე პირებზე გავრცელება, თუ სასარჩელო წარმოების დაყოფის საფუძვლები არ არსებობს და მთავარ პარამეტრებში მოპასუხეები და მოსარჩელეები აბსოლიტურად ემთხვევიან ერთმანეთს. ქართული საპროცესო კანონმდებლობა არ ცნობს საპროცესო თანამონაწილეობის დაყოფას სავალდებულო და ფაკულტატურ თანამონაწილეობის ფორმებად, უფრო სწორად საკანონმდებლო ჩანაწერების დონეზე არ მიჯნავს ამ ორ ფენომენს ერთმანეთისგან, შესაბამისად საკანონმდებლო ტექნიკის დონეზე მოსამართლისთვის, მხარეებისთვის ადვოკატებისთვის მოსახერხებელი ორიენტირების შექმნა საკმაო ძალისხმევას უკავშირდება.

საქართველოს სამოქალაქო საპორცესო კოდექსის 86-ე მუხლით დარეგულირებულია საპროცესო თანამონაწილეობასთან დაკავშირებული ურთიერთობები.[50] პირთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია წარადგინოს ერთობლივი სარჩელი თუ დავის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლიდან , სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია მუიხედავად იმისა ერთგვაროვანია თუარა მათი საფუძველი და საგანი. აქვე უნდა ხაზი გავუსვათ საკანონმდებლო ჩანაწერს, კერძოდ, 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სასარჩელო თანამონაწილების დროს თითოეული პირი მონაწილეობს დამოუკიდებლად, რაც მიანიშნებს იმას, რომ პირი რა დოზითაც არის ფორმალურად ჩართული სასამართლო პროცესის მიდინარეობისას, ამის პროპორციულად დგება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. რათქმა უნდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცნობს წარმომადგენლის მეშვეობით საპროცესო თანამონაწილეობის

[50] საქარელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/29962

განხორციელებას, და წარმომადგბელობა უნდა გაფორმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად. ამდენად წარმომადგენლობის უფლებამოსილება ხდება მარწმუნებლის მიერ რწმუნებულზე ხელმოწერილი დოკუმენტის გადაცემით.

თ.ლილუაშვილი საპროცესო თანამონაწილეობის ფორმებს ჰყოფს 2 ნაწილად სავალდებულო და ფაკულტატურ თანამონაწილეობად.

სავალდებულო თანამონაწილეობას განეკუთვნება ისეთი კატეგორიის საქმეები, რომლებიც მოთხოვნის ბუნებიდან გამომდინარე ითხოვს ყველა პირის სავალდებულო წესით ჩართვას საქმეში. ასეთი დროს ყველა პირის ჩართვის გარეშე განოტანილი გადაწყვეტილება იქნება არასრულყოფილი, არსებითად დაირღვევა საქმეში სათანადო წესის გარეშე გამოუძახბელი პირების ინტერესები. ამიტომ როდესაც სახეზეა ასეთი ტიპის საქმეები, სასამართლო ამოწმებს შესაბამის გარემოებებს და საკუთარი ინიციატივით იძახებს დაინტერესებულ პირებს საქმეში. თუ სათანადო წესით პირი ჩაბმულია საქმეში (სასამართლო შეტყობინების გზით), მაშინ სასამართლო სხდომაზე რომელიმე მხარის იქნება ეს მოსარჩელე თუ მოპასუხე გამოუცხადებლობა, (იგულისხმება როდესაც სხდომას არ ესწრება რომელიმე მხარის 1 წარმომადგენელი მაინც) იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. თუ სხდომას ესწრება ორივე მხარე, მაგრამ ყველა წევრი არ არის წარმოდგენილი, მაშინ გამოტანილი გადაწყვეტილება ვრცელდება მხარეების ყველა წევრზე რომელთაც გაეგზავნათ საასამართლო უწყებები. მხართა გამოუცხდებლობა იწვევს საქმის განუხილველად დატოვებას.

ფაკულტატური თანამონაწილეობა- საპროცესო თანამონაწილეობის ეს სახე გულისხმობს რომ სასარჩელო წარმოება შესაძლებელია დაიწყოს როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად. იმ შემთხვევაში თუ სარჩელის საგანი და საფუძვლები იდენტურია, ასეთი ტიპის სარჩელები შესაძლოა აღიძრას როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად. მაგალითად, რომელიმე საწარმოს თანამშრომლებს თუ გააჩნიათ

სახელფასო მოთხოვნა საწარმოს მიმართ ასეთი ტიპის სარჩელი შესაძლებელი წარდგენილი იქნას როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. თანამონაწილეობისგან განსხვავდება საქმეები, რომელზეც თუმცა სხვადასხვა სასარჩელო მოთხოვნებია, თუმცა არსებობს ერთი მოპასუხე, ამ შემთხვევაში სახეზეა სარჩელების გაერთიანება და არა საპროცესო თანამონაწილეობა.[51]

სასამართლო სხდომაზე რომელიმე მხარის წევრის არ გამოცხადების შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილება გამოდის მხოლოდ იმ პირების მიმართ ვინც ესწრებიან სასამართლო სხდომას, ხოლო იმ პირებს ვინც არ ესწრებიან მათ მიმართ არ ვრცელდება აღნიშნული შედეგი, სხვა დანარჩენ შემთხვევებში იგივე შედეგი დგება რაც სავალდებულო მონაწილეობის დროს.[52]

თავი 3. ჯგუფური სარჩელის არსი და სამართლებრივი მოწესრიგება ევროპის ქვეყნებში

3.1 გერმანია

გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს ჯგუფური სარჩელის მარეგულირებელ უნივერსალურ წესებს[53]. პირველი ნაბიჯები კოლექტიური სასარჩელო წარმოების დასამკვიდრებლად, გერმანიამ მოხმარებელთა უფლბების დაცვის კუთხით გადადგა გერმანიის პარლამენტის მიერ მიღებული აქტით, რომელიც 2018 წლის 01 ნოემბერს შევიდა ძალაში, კვალიფიციურ ინსტიტუციებს მიენიჭათ უფლებამოსილება დაიწყონ სასარჩელო წარმოება, რაც სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით სრულდება სასამართლოს მიერ მიღებული დეკლარაციული გადაწყვეტილებით. დებულების შინაარსის გასაგებად

[51] თ. ლილუაშვილი, ქართული პროცესუალური სამართალი, თბილისი 2005, გვ.88-89
[52] იქვე. გვ.90
[53] Class/collective actions in Germany: overview, by Michael Masling and Florian Hinderer, Morgan Lewis & Bockius LLP, Last update 01 August 2019

აუცილებელია დადგინდეს რას ნიშნავს კვალიფიციური ინსტიტუტი და დეკლარაციული გადაწყვეტილება. პირველი მათგანი მოიცავს კანონმდებლოს საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციას რომელიც საქმიანობს კონკრეტული მიზნის მისაღწევად გააჩნია შესაბამისი საქმიანობის პროფილი და კვალიფიკაცია (მაგალითად ორგანიზაციები რომლებიც იცავენ მომხმარებელთა უფლებებს), ხოლო დეკლარაციული გადაწყვეტილება გულისხმობს სასამართლოს მიერ კონტრაქტორი მხარეებისთვის უფლებებისა და მოვალეობების დადგენას და საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გააჩნია იურიდიული მოქმედების ძალა[54]. გერმანიის პარლამენტის მიერ მიღებული აქტით მომხარებელთა უფლებების დაცვის მიზნით კოლექტიური სასარჩელო პროცედურები ვრცელდება როგოც პირველი ინსტანციის სასამართლოზე ისე ფედერალურ უზენაეს სასამართლოზე.

იმისათვის, რომ ადამიანთა ფართო წრის სასარგებლოდ დაიწყოს სასარჩელო წარმოება, ამისთვის გერმანული კანონმდებლობა აწესებს მოთხოვნებს, რომელთა დაცვა თითქმის არცერთ ეტაპზე არ არის ფაკულტატური, არამედ შესასრულებლად სრულად სავალდებულოა. სასარჩელო წარმოების დასაწყებად შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილნი არიან კვალიფიციური ორგანიზაციები, კერძო პირების მიერ თვითორგანიზაციისა და სასამართლო გზით ჯგუფურად უფლებების დაცვის მექანიზმის შესახებ არაფერს ამბობს გერმანული კანონმდებლობა, კვალიფიციური ინსტიტუციების შემოტანით გერმანული სახელმწიფო ცდილობს დაამკვიდროს ჯგუფური სასარჩელო წარმოების პრაქტიკა მხოლოდ ასეთი ინსტიტუციების სავალდებულო ჩართულობით. კვალიფიციური ინსტიტუტებისთვის სავალდებულოა შედგებოდეს 10 ასოციაციისგან და 350 ფიზიკური პირისგან, მათ არ შეუძლიათ საკუთარი ფინანსების 5%-ზე მეტი შეავსონ კერძო კომპანიების შემოწირულობისგან

[54] Declaratory Judgment, By JULIA KAGAN, Updated November 12 2019

და მომხარებელთა ფართო წრის უფლებების დაცვის გზით ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, ორიენტირებულნი იყვნენ მოგებაზე.

ანგლო-ამერიკული მოდელისგან განსხვავებით, გერმანული მოდელი განსაზღვრავს კონკრეტულ კრიტერიუმებს თუ რა რაოდენობის მოსარჩელეა საჭირო სამართალწარმოების დასაწყებად. სასამართლოში სარჩელის წარსადგენად წარმოამდგენლობაზე პასუხისმგებელმა კვალიფიციურმა ორგანიზაციამ უნდა აჩვენოს, საქმე ეხება არანაკლებ 10 პირს, ამასთან პირები შეზღუდულნი არ არიან ინდივიდუალურად წარადგინოს სარჩელი. საჩივარი განსახილველად დასაშვებია თუ 50 მოსარჩელე შეუერთდება საქმეს თვიანთი მოთხოვნის დარეგისტრირებით 2 თვის განმავლობაში, ამ პერიოდის გასვლის შემდგომ საჩივარს შეიძლება შეუერთდნენ სხვა მომხარებლებიც საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე.

კოლექტიური სარჩელის გერმანული მოდელის ბუნება ანგლო-ამერიკულისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს სასამარლოს მიერ დეკლარაციული გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით პირებმა ინდივიდუალურად უნდა მიმართონ სასამართლოს. სასამართლოს როლი ასევე მნიშვნელოვანია დავის მორიგებით მოგვარების პროცესში, შეთანხმების პირობების საბოლოოდ გაფორმება ხდება სასამართლოს მეშვეობით, მოსამართლის მიერ შეთანხმების დამტკიცება აუცილებელია. გარდა ამისა პირი, რომელიც არ ეთანხმება მორიგების პირობებს, სარგებლობს გამოყოფის უფლებით და საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია ცალკე სასარჩელო წარმოებით, მორიგების აქტი ძალაში შედის მას შემდეგ.

საკანომდებლო აქტის ამ ვერსიასთან მიმართებით, თუმცა არსებობს გაუმჯობესებისკენ მიმართული მოთხოვნები, თუნდაც სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტის ნაწილში, ასოციასიების მეშვეობით მომხარბელთა უფლებების დაცვის მექანიზმის შემუშავება, მაინც წინ

გადადგმული ნაბიჯია. გერმანული მოდელის კიდევ ერთი დანაწესი რაც შეიძლება ხელისშემშლელად ან არავალიდურად მოგვეჩვენოს ისაა, რომ დავის საგნის ღირებულების ცენზს აწესებს და მაქსიმალურ ჭერს განსაზღვრავს 250000 ევრომდე, რაც იგივე პროცედურის გარეთ ტოვებს უფრო მაღალბიუჯეტიან მნიშვნელოვან დავებს.

როგორც უკვე აღინიშნა გერმანული კანონმდებლობა კოლექტიური სარჩელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არ არეგულირებს უნივერსალურ დონეზე. ცალკეულ კატეგორიის საქმეებთან მიმართებით გერმანულ სამართლებრივ სისტემაში მოქმედებს საკანონმდებლო აქტები როგორიცაა: „Act on Cease and Desist Actions“, „Unfair Competition Act and the Act against Restraints of Competition“, „Capital Markets Model Proceedings Act“, „Appraisal Proceedings Act „. გერმანული კანონმდებლობა ასევე არ იცნობს სპეციალიზირებულ სასამართლოებს, რომლებიც კონცენტრირებულნი არიან უშუალოდ კოლექტიური სარჩელების განხილვაზე. ასეთი დავები განიხილება ფედერალური სასამართლოების მიერ, ცალკეული შემთხვევებში სასამართლოს განსაჯადობას სარჩელი განეკუთვნება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, ან იმის გათვალისწინებით, თუ სად არის ჩადენილი ქმედება. რამაც მოსარჩელისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანი გამოიწვია.

გერმანული კანონმდებლობა იცნობს მოთხოვნის ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადებს. ზოგადი ხანდაზმულობის ვადა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით შეადგენს 3 წელს, უძრავი ქონების საკითხებზე 10 წელს. სტანდარტული წესის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება იმ წლის ბოლოს, როდესაც მოთხოვნა წარმოიშვა და მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა სცოდნოდა დამდგარი შედეგის შესახებ, დაუდევრობით ან უხეში გაუფრთხილებლობით ხანდაზმულობის ვადის გაშვება არ ჩაითვლება პატივსადებ მიზეზად. რაც შეეხება კოლექტიურ სარჩელთან დაკავშირებულ ვადებს, ამ შემთხვევაში სარჩელის წარდგენა შეიძლება შესაძლებელია მაღალი ინსტანციის რეგიონული სასამართლოს

მიერ საჯაროდ გამოცხადებიდან 6 თვის განმავლობაში. გარემოს დაცვით საკითხებზე შესაბამის ჯგუფებს სარჩელის შესტანად აქვთ 1 თვიანი ვადა მას შემდეგ რაც ადმინისტრაციული ორგანო საჯაროდ გამოაცხადებს გადაწყვეტილებას, ხოლო აღნიშნული ვადა გახანგრძლივდება 1 წლამდე, თუ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას არ გამოაცხადებს საჯაროდ ან თუ ადმინისტრაციული ორგანო სათანადოთ არ შეასრულებს ვალდებულებებს. კონრეტული საქმის არსიდან გამომდინარე, კოლექტიურ სარჩელთან დაკავშირებული დავა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელია მოექცეს ხანდაზმულობის ზოგადი ვადების რომელიმე კატეგორიაში.

როგორც სხვა კატეგორიის საქმეებზე ასევე კოლექტიურ სარჩელთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე პირს შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფო დაფინანსებით, რომელიც ფარავს სასამართლო ხარჯებს და საადვოკატო ხარჯებს. სახელმწიფო დაფინანსება არ მოიცავს მოწინაღმდეგე მხარის ხარჯებს, თუ დავა ამ პირმა წააგო, მოწინააღმდეგის ხარჯებს ფარავს ის, ვინც დავა წააგო. სახელმწიფო დაფინანსება შეეხება იმ პირებს, ვისაც ეკონომიკური ან პერსონალური მიზეზების გამო არ შეუძლია დაფაროს საპროცესო ხარჯები. აღსანიშნავია, რომ იგივე საჯარო დაფინანსების პროგრამა მოქმედებს როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე.

კოლექტიური სასარჩელო წარმოებისას, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ იმ ავტორიზებულ ორგანიზციებს შეუძლიათ გამოვიდნენ წარმომადგენლებად, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან აქვთ შესაბამისი აკრედიტაცია აღძრან ჯგუფური სარჩელები.

კოლექტიური სარჩელების უმეტესობას არ გააჩნია კომპენტსატორული შედეგი მოსარჩელის სასარგებლოდ, საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები უმეტესწილად განსაზღვარვს მოთხოვნებს, უფლებებს და სამართლებრივ ურთიერთობებს. ასეთი ტიპის

დეკლარაციული გადაწყვეტილებები მოსარჩელისთვის ქმნის ნიადაგს სამოქალაქო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.[55]

დასკვნის სახით რომ შევაჯამოთ გერმანული მოდელი, შეგვიძლია ვთქვათ რომ იგი არ ატარებს კლასიკური ჯგუფური სარჩელის ხასიათს, ამერიკული მოდელისგან განსხვავებით, გერმანულ მოდელში შენარჩუნებულია მოსამართლის არბიტრის როლი, ხოლო ამერიკული მოდელში მოსამართლეს გააჩნია გაცილებით „ინკვიზიციური" ფუნქცია საჯრო ინტერესების მაქსიმალური უზრუნველსაყოფისათვის. ეს სხვაობა აიხსნება იმითაც, რომ ამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელია სასამართლოს როგორც კანონშემოქმედის როლი.[56]

სამომავლო გერმანული მოდელის პერსპექტივა ჯერ კიდევ ელოდება გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრას, როგორც უკვე დავახასიათეთ ამერიკული მოდელისგან განსხვავებით, ბევრად დამაბრკოლებელი ბარიერების შემცველია გერმანული მოდელი. ვინაიდან გერმანია ევროკავშირის სივრცის განუყოფელი ნაწილია, მოუწევს შესაბამისობაში მოიყვანოს მთელი რიგი საკითხები ევრო დირექტივებთან. ევროკავშირის მიერ 2018 წლის აპრილში წვერი ქვეყნებისათვის ინიცირებული იქნა დირექტივის პროექტი, რომელიც ეხება გარკვეული ცვლილებების მიღებას მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. დირექტივის ამოქმედება დაგეგმილია 2020 წლის განმავლობაში. დირექტივის მიზანია პირთა კვალიფიციურმა რაოდენობამ განახორციელოს წარმომადგენლობა, განსხვავებით გერმანული მოდელისგან, რომელიც მხოლოდ კვალიფიციური აკრედიტებული ასოციაციების მეშვეობით ცნობს წარმომადგენლობის განხორციელებას. მეორე ნაწილი ევრო დირექტივის მიზნად ისახავს˜, რომ კოლექტიური სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებების დეკლარაციული ბუნება შეიცვალოს და

[55] Germany: Class and Group Actions Laws and Regulations https://iclg.com/practice-areas/class-and-group-actions-laws-and-regulations/germany

[56] Dietmar Baetge, Class Actions, Group Litigation & Other Forms of Collective Litigation. P.2.

დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ერთი სასარჩელო წარმოების ფარგლებში მოითხოვონ მატერიალური ზიანის ანაზღაურება ან გარკვეული ტიპის შემაკავებელი სახის სასამართლო გადაწყვეტილება.[57]

დირექტივის ამოქმედების შემთხვევაში გერმანიას მოუწევს უარი თქვას კოლექტიურ სასარჩელო წარმოების მარეგულირებელ ფრთხილ ნორმებზე. უმთავრესი, რაც გერმანულ კანონმდებლობას ევრო დირექტივისგან ელოდება, არის ის, რომ დეკლარაციული სახის გადაწყვეტილებების ნაცვლად პირებს შეეძლებათ ნაკლები ბიუროკრატიისა და პროცედურების გარეშე მიიღონ მატერიალური დაკმაყოფილება.

3.2 საფრანგეთი

ჯუფური სარჩელის კონტექსტთან მიმართებაში საფრანგეთის მაგალითი გაცილებით საინტერესო მაგალითია ვიდრე გერმანია. ამის თქმის საფუძველს იძლევა თვითონ ის ფაქტი რომ მატერიალური დაკმაყოფილების მექანიზმზს ფრანგული კანონმდებლობა პირდაპირ უთითებს ჯგუფური სარჩელის საკანონმდებლო დებულებების განსაზღვრისას. 2016 წლის 18 ნოემბრის საკანონმდებლო აქტი განსაზღვრავს, რომ პირები რომლებიც ერთნაირ სიტუაციაში აღმოჩნდნენ სხვა პირის მიე დარღვეული სახელშეკრულებო პირობების ან კანონის მოთხოვნების გამო, სარგებლობენ უფლებით წრადგინონ ინდივიდუალური სარჩელები. ამ შემთხვევაში შესაძლებელია აღიძრას ჯგუფური სარჩელიც როგორც უკანონობის შესაჩერებლად, ასევე მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.[58]

ჯგუფური სარჩელის ფრანგული მოდელის გასააზრებლად, საკანონმდებლო რეჟიმი უნდა დაიყოს ორ ნაწილად: 1. წესები, რომლებიც

[57] Henning Balz, Hengeler Mueller. The class action law review – edition 4, Germany, May 2020.
[58] Class/collective actions in France: overview by Alexandre Bailly and Xavier Haranger, Morgan, Lewis & Bockius, Paris Office, August 01, 2019

განსაზღვრავენ სპეციფიკურ სამართლებრივ რეჟიმს სამომხმარებლო უფლებებთან დაკავშირებულ დავებთან 2. ნორმები რომელიც აყალიბებს ზოგად პრინციპებს ყველა სხვა სახის ჯგუფური სარჩელის სამართალწარმოებისთვის.[59]

ფრანგული მოდელის განვითარების დინამიკიდან იკვეთება, კანონმდებლები ეტაპობრივად აფართოვებენ იმ სფეროთა არეალს, სადაც კი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი. ამერიკული მოდელი, როგორც ჯგუფური სარჩელის კლასიკური წარმომადგენელი უკვე მოიცავს ფართო წრეს იმ საკითხებს სადაც აღნიშნული გამოიყენება. 2014 წლიდან მოყოლებული საფრანგეთმა ჯგუფური სარჩელის გამოყენება დაიწყო ჯანმრთელობის, გარემოს დაცვით, პერსონალური ინფორმაციის დაცვის და დისკრიმინაციულ საკითხებზე.[60]

ვინაიდან ჯგუფური სარჩელი თავისი ბუნებით წარმომაგენლის მეშვეობით განცხორციელებული სამართალწარმოებაა, საინტერესოა რა მიდგომას ირჩევს ფრანგული მოდელი აღნიშნულთან მიმართებით. მსგავსად გერმანული მოდელისა ფრანგულ მოდელსაც გააჩნია მკვეთრად შემზღუდავი ბუნება წარმომადგენლის განსაზღვრისას. საქმისწარმოებაში ერთვებიან ასოციაციები, რომელთაც ფრანგული კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ აკრედიტაცია. სასარჩელო წარმოების დაწყებისას, კონკრეტულად სარჩელის სასამართლოში წარდგენისას აუცილებელი მოთხოვნაა შესაბმისი აკრედიტირებული ასოციაციის ჩართულობა. კიდევ ერთი შემზღუდავი ხასიათის ნორმა, რომელიც ფრანგულ კანონმდებლობას ახასიათებს და არსებითად ანომალიურია ჯგუფური სარჩელის კლასიკური ინსტრუმენტისთვის, არის ის, რომ მოსარჩელეთა რაოდენობა ლიმიტირებულია, ლიმიტირებულია იმ გაგებით რომ მოსარჩელეებად გამოდიან აკრედიტირებული ასოციაციები. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ინდვიდუალურად დაინტერესებულ პირებს, რომლებიც ექცევიან

[59] იქვე.
[60] იქვე

სასმართლოს მიერ დადგენილ ფაქტისა და სამართლის საკითხებში, შესაძლებელია შეურთდნენ ჯგუფურ სარჩელს, ამხრივ პირთა წრე რიცხვობრიობის თვალსაზრისით განსაზღვრული არ არის.

იმისათვის რომ თანმიმდევრულად და ლოგიკურად გავყვეთ ფრანგულ საკანონმდებლო პროცედურებს და მივიღოთ ამომწურავი სურათი ჯგუფური სარჩელის ფრანგულ მოდელთან დაკავშირებით, გადავინაცვლოთ შემდეგ მნიშვნელოვან პროცედურაზე - სერთიფიკაციის პროცესზე, რომელიც საკვანძო საკითხია ამ კუთხით და სერთიფიცირების პროცედურისთვის დადგენილი კრიტერიუმების სიმარტივე მეტწილად განსაზღვრავს ჯგუფური სარჩელის ეფექტურობას და ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისათვის. იმისათვის, რომ გავიგოთ რას ნიშნავს სერთიფიკაციის პროცესი ამის ასახსნელად უნდა მოვიშველიოთ ახლოს მდგომი საპროცესო ინსტრუმენტის განმარტების მეთოდი. ასეთად შესაძლებელია მივიჩნიოთ სერთიფიკაციის უზოგადესი პროცედურა სარჩელის დასაშვებობის საპროცესო ეტაპი, სარჩელის დასაშვებობა ადგენს იმ კრიტრეიუმებს, თუ რა შემთხვევაში მიეცემა სარჩელს სასამართლოს მიერ მსვლელობა და რა შემთხვევაში განცხადებს უარს სასამართლო სარჩელის განხილვაზე. ზუსტად ასეთ პროცედურებს მოიცავს ჯგუფური სარჩელის სერთიფიცირების პროცესი.

უფრო კონკრეტულად რომ წარმოვადგინოთ საფრანგეთის ჯგუფური სარჩელის სერთიფიკაციის პროცესი უნდა განვიხილოთ შემდეგი საკითხები, თუ რას მოიცავს და რა ორიენტირები აქვს სასამართლოს ჯგუფური სარჩელის კვალიფიცირებისთვის.

1. გასნხვავებით მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული ჯგუფური სარჩელებისა, სასამართლო მოპასუხეს უგზავნის შეტყობინებას დაუყონებლივ შეაჩეროს კანონდარღვევითი საქმიანობა. სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს აკრედიტირებული ასოციაციის მიერ.

2. ჯგუფური სარჩელები უნდა ეხებოდეს უკვე არსებულ, კონკრეტულ შედეგებს, კონკრეტულ დარღვევებს, რომლებსაც გავლენა აქვთ პირებზე. სარჩელი არ შეიძლება წარდგენილი იქნას ისეთ გარემოებებზე და ფაქტზებზე მითითებით, რომლებიც არ დამდგარა ან შეიძლება მომავალში დადგეს.
3. სარჩელი უნდა წარდგენილი იქნას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ან/და კანონმდარღვევი ქმედების შეწყვეტის მოთხოვნით.

თუ ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს ვერ დაკმაყოფილებს სარჩელი , არ მიენიჭება ჯგუფური სარჩელის სტატუსი, პირებს რჩებათ შესაძლებლობა იდავონ ინდივიდუალურად, საკუთარი სახელით.[61]

ამერიკული კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, სადაც შემზღუდველი და პირობითი რეგულაციები სრულად მოხსნილია იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება ფართოდ და ადვილად ხელმისწავდომი გახდეს ჯგუფის წევრებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების სარგებელი, ფრანგული მოდელი სიფრთხილით და შეიძლება ითქვას რომ ჭარბი მოწესრიგებით გამოირჩევა. იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა სასამართლო გადაწყვეტილებისგან მიიღოს დაკმაყოფილება, ან საერთოდ აღიარებული იქნეს პროცესის მონაწილედ, სავალდებულოა ფორმალურად წარადგინოს სარჩელი, გაიაროს რეგისტრაცია, როგორც კოლექტიური სარჩელის მონაწილე პირმა აკრედიტებული ასოციაციაციისადმი მიმართვის გზით და შეატყობინოს მოპასუხე მხარეს. ეს მიდგომა ამცირებს დაინტერესებულ პირთა ფართო წრის დაკმაყოფილების შანსებს მიიღონ კომპენსაცია, თუმცა არ უკარგავს შესაძლებლობას ინდივიდუალური საქმისწარმოების გზით აღძრას სარჩელი. [62]

[61] Class/Collective Actions in France: Overview, Alexandre Bailly,Xavier Haranger, Morgan , Lewis & Bockius, Paris Office. 01 August 2019
[62] იქვე.

სარჩელის სერთიფიცირებასთან ერთად სასამართლო ადგენს გარემოებას თუ რამდენად არის მოპასუხე საქმეში ჩართული სწორად. ე.ი რამდენად არის პირი პასუხისმგებელი ქმედებებზე., რის გამოც იქნა ჯგუფური სარჩელი აღძრული.

კოლექტიური სარჩელის წარსაგენად ფრანგული კანონმდებლობა ადგენს რომ არანაკლებ 2 მოსარჩელეა საჭირო საქმის წარმოების დასაწყებად, მაშინ როდესაც ამერიკული ჯგუფური სარჩელის მარეგულირებელი აქტი არ იცნობს კონკრეტულ რაოდენობრივ დათქმას. [63]

საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე სასამართლო ადგენს რამდენად პასუხიმგებელია წარდგენილი მოპასუხე წარმოშობილ ზიანზე ან რამდენად უნდა გამოყენებული იქნას მოაპსუხის მიმართ შემაკავებელი ღონისძიებები. თუ მოსარჩელეების მიერ დასახელებული მოპასუხე ცნობილი იქნა პასუხისმგებელ პირად ამის შემდგომ სასამართლო ადგენს:1. ჯგუფის განსაზღვრებას და კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც პირს შეეძლება საქმეს შეუერთდეს. 2. ზიანი რომელიც შეიძლება ანაზღაურდეს თითოეული პირისთვის. 3. მოპასუხეს ავალდებულებს შეატყობინოს პირებს კომპენსაციის მიღების უფლების შესახებ, შოტყობინებად ჩაითვლება, როგორც კერძო შეტყობინება ისე საჯაროდ. შეტყობინების ვალდებულება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. [64]

კოლექტიური სასარჩელო წარმოების ბუნებიდან გამომდინარე, წარმომადგენლის ჩართულობა პრაქტიკულ დონეზე გარდაუვალია. ფრანგული კანონმდებლობით, განსხვავებით ამერიკული მოდელისგან არ არის დარეგულირებული საადვოკატო ხარჯების საკითხი. საადვოკატო მომსახურება ანაზღაურდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო ამერიკული მოდელი იცნობს სპეციფიურ რეგულაციას მოგებული

[63] Class/Collective Actions in France: Overview, Alexandre Bailly,Xavier Haranger, Morgan , Lewis & Bockius, Paris Office. 01 August 2019
[64] იქვე.

საქმისთვის. ფრანგული კანონმდებლობა კოლექტიური სარჩელთან მიმართებითაც ამოდის უზოგადესი პრინციპიდან, რომ მოგებულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მოპასუხეს საადვოკატო და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.[65]

მსგავსად გერმანული მოდელისა კოლექტიური სარჩელის ფრანგული მოდელიც გამოირჩევა თავისი სპეციფიკური მახასიათებლით. იგი არსებითად გერმანული მოდელის მსგავსია, ვინაიდან ჯერ მხოლოდ მოწესრიგების გარკვეულ სფეროებს ირჩევს და ღიად ტოვებს საკითხებს, რომლებიც ჯგუფურ სარჩელს გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგალითისათვის უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ორი ქვეყნის კოლექტიური სარჩელის მოდელი ვერ სცდება მოსარჩელეების უშუალო ჩართულობის სავალდებულოობას.

მიუხედავად ფრანგული მოდელის ხარვეზული ხასიათისა, ჯგუფური სარჩელის განვითარების დინამიკა საფრანგეთში არ შენელებულა. 2018 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პარლამენტის წევრთა გარკვეულმა ჯგუფმა წარმადგინა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ჯგუფური სასარჩელო წარმოების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას მოქალაქეებისათვის. უფრო კონრეტულად, მოქალაქეთა გარკვეულ რაოდენობას (ჯგუფი რომელიც შედგება მინიმუმ 100 წევრისგან) შეუძლია ასოციაციეიების მიმართვის გარეშე თვითორგანიზებით წარადგინონ ჯგუფური სარჩელი სასამართლოში. თუ ამ ნაბიჯს შევაფასებთ აღნიშნული არსებული ფრანგული მოდელის საპირისპირო ვერსიაა, რითაც პირდაპირი წვდომა უჩნდება მოქლაქეს ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლის გარეშე მიმართოს სასამართლოს კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.[66]

თავი 4. ჯგუფური სარჩელის დანერგვის შესაძლებლობები

[65] იქვე.
[66] Alexis Valencon, Nicolas Bouckaert Kemmedys ,- The class action Law review- 4 edition France, May 2020

საქართველოში

ქართული სამართლებრივი სისტემა არ იცნობს ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, დარღვეული უფლების აღსადგენად მხოლოდ განპიროვნებულ სარჩელებს ცნობს. სარჩელის ეს სახე უძველესია და თავისი ბუნებით იგი კლასიკური ხასიათისაა, რომელიც შეგვიძლია გამოვხატოთ შემდეგი წინადადებით: პირი რომელმაც შეიტყო საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად, უფლებას ახორციელებს კონკრეტული იდენტიფიცირებული პიროვნება და სამართლებვრივი შედეგიც მხოლოდ მისთვისაა. ისტორიული პროცესები იდენტური არასდროსაა, კონკრეტულ დროში სიტუაციის შესაბამისად იცვლება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოშობს ახალ გამოწვევებს სამართლევრივი სისტემისათვის. ადამიანის უფლებების წინა პლანზე წამოწევასთან ერთად სამართლებრივი სისტემის ამოცანა დემოკრატიულ გარემოში პირების განსხვავებული ინტერესების სამართლიანი დაბალანსებაა, ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციით ადმიანის უფლებები უზენაეს ღირებულებებადაა აღიარებული. რამდენადაც დინამიურია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი, ამის პროპორციულად სამართლის სიტემას სჭირდება იყოს ადეკვატური დროში. ამ მიზეზის გამო ქართული სამართლის სისტემას მოეთხოვება იყოს ღია ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების ათვისებისკენ, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში წარმატებით მუშაობს.

პროფესორი გია ლილუაშვილი განმარტავს რომ დღესდღეისობით საქართველოში არ არსებობს წინაპირობები ჯგუფური სარჩელის დანერგვის, ამ დასკვნას უკავშირებს იმ ფაქტს რომ ეკონომიკური

განვითარების მხრივ საქართველო განვითარებად ქვეყანას განეკუთვნება.[67] აღნიშნული მოსაზრება მან 2012 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში დააფიქსირა, მაგრამ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი საქართველოსთვის დღესაც მშობლიურია. მართალია ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნებს საგრძნობლად წინაა საქართველოზე ეკონომიკური კაპიტალიზაციის კუთხით, თუმცა ამ მოსაზრებას ცალსახად ვერ დავეთახმები. თუნდაც მცირე ეკონომიკური პარამეტრების პირობებში აქტუალობას არ კარგავს კითხვა: თუ როგორ შეიძლება გაუმკლავდეს ქართული მართლმსაჯულება შემთხვევებს, როდესაც ბანკებისგან, მობილური კავშირგაბმულობის, გაზის, წყლის თუ ელექტრონერგიის კომპანიებისგან, საქართველოში მდებარე ფაბრიკა-ქარხნებისგან, თუნდაც ადმინისტრაციული ორგანოებისგან ასობით ან ათასობით მოქალაქეს ზიანი ადგებათ ან შესაძლოა მიადგეთ? შესაძლებელია სასამართლო სისტემა არ დგას ისეთი გამოწვევის წინაშე, როდესაც დაუყონებლივ მოწესრიგებას მოითხოვს კოლექტიური სარჩელების ინსტიტუტი, მაგრამ დღესდღეობით ათასობით მოქალაქე მოიხმარს საბანკო, მობილური კავშრიგაბმულობის მიერ შემოთავაზებულ სერვისებს, ქართული ფარმაცევტული კომპანიები ათასობით მომხარებელს ემსახურება, მსხვილი სავაჭრო მარკეტები უამრავ პროდუქციას ყიდიან მოქალაქეებზე, საქართველოში მდებარე თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს მომხარებელთა რიცხვი ათასობით პირს ითვლის. სწორედ ამ მოცემულობის გამო, ვფიქრობ, საჭიროა ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობდეს ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი, რათა ეფექტურად გაუმკლავდეს კოლექტიურ სასარჩელო წარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჯგუფური სარჩელი ანგლო- ამერიკულ სოციო-კულტურული ფენომენია, ამიტომ საქართველოს მოქალაქეებითვის უცხოა კოელქტიური სამართლებრივი მოქმედების ის ფორმა, რასაც ჯგუფური სარჩელი გვთავაზობს, მათვის უბრალოდ უცნობია ეფექტური

[67] გია ლილუაშვილი, ჯგუფური სარჩელები აშშ-ი და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, სამართლის პრობლემები, რომან შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2012 წ.გვ.12-13.

კოლექტიური საპროცესო მეთოდით ინტერესების დაკმაყოფილების შესახებ. ამ ინსტიტუტის ამოქმედების შემთხვევაში მნიშვნელოვანი სტიმული იქნება მოხმარებლებისთვის გაცილებით ყურადღებით მოეკიდონ თავიანთ უფლებებს. პრაქტიკა რომელზეც თვალს ხუჭავენ ან არ უღირთ სასამართლო პროცესში ჩაბმა საქმის მცირე მნიშნვნელობიდან გამომდინარე, ჯგუფური სარჩელის ამოქმედების პირობებში ექნებათ მოტივაცია და შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი უფლებები. საბოლოო ჯამში კი ამით მხოლოდ გაჯანსაღდება სამეწარმეო და სამომხმარებლო გარემო.

მეორე მხარე რასაც ხაზი უნდა გავუსვათ და რასაც პროფესორი გია ლილუაშვილი ზემოთხსენებულ სტატიაში იზიარებს, არის ჯგუფური სარჩელის ინსტიტუიტუტისადმი სამეცნიერო წრეების ინტერესის გაზრდა. სამეცნიერო საზოგადოება უნდა ისწრაფოდეს სხვადსხვა ქვეყნების სამართლებრივი ინსტიტუტის ანალიზისკენ. მოცემულ შემთხვევაში ჯგუფური სარჩელის კვლევა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, მხოლოდ გაამდიდრებს ცოდნას ან საჭირო ინსტიტუტის შესახებ, ნებისმიერ შემთხვევაში როდესაც საქართველო მზად იქნება ამ გამოწვევას უპასუხოს, სამეცნიერო კვლევები მხოლოდ დადებითად იმოქმედებს.[68]

უმთავრესი არგუმენტი, რაც შეიძლება დისკურსის დონეზე წამოიჭრას ჯგუფური სარჩელის წინააღმდეგ არის ბიზნეს ინტერესები, თითქოსდა ჯგუფური სარჩელის რეგულაციები დააზარალებს ბიზნეს გარემოს და სუბიექტებს არ გაუჩნდებათ სურვილი ქართულ ბაზარზე ოპერირების. ეს არგუმენტი არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამხასიათებელ სტანდარტებს, თავის თავში გულისხმობს კორპორციების კაბალური ჰეგემონიის ლეგალიზებას. თუმცა მატერიალური რესურსების აკმულურიება და ეროვნული დოვლათის

[68] გია ლილუაშვილი, ჯგუფური სარჩელები აშშ-ი და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, სამართლის პრობლემები, რომან შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2012 წ.გვ. 13.

გაზრდა აუცილებელია, მეორე მხრივ საჭიროა ისეთი სამართლიანი მექანიზმების არსებობა, რის შედეგადაც ერთის მხრივ წახალისებული იქნება ბიზნეს სუბიექტი მაღალი სტანდარტებით ოპერირებისკენ, გაზრდის კონკურენციას და პროდუქტიულობას, მეორეს მხრივ გამარტივებული ბიუროკრატიით და ნაკლები დანახარჯებით უზრუნველყოფილი იქნება სამომხარებლო ინტერესები. საფუძველს მოკლებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი თავის თავში ატარებს ბიზნეს სუბიეტების დისკრეტიდაციას ან პროცესუალურად უუფლებო მდგომარეობაში აყენებს მათ.

კიდევ ერთი არგუმენტი რაც შეიძლება წინააღმდეგობრივი ხასიათის შემცველი იყოს ეს არის ანგლო-ამერიკულ და კონტინენტური ევროპის სამართლის სიტემებს შორის განსხვავება. ეს არგუმენტი თავისი ბუნებით ნაკლებად წინააღმდეგობრივია, ვინაიდან რეგულაციურ ნაბიჯებს ანგლო-ამერიკული სისტემა კარგა ხანია იყენებს და სამართალს მხოლოდ მოსამართლეები აღარ წერენ. ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დონეზე დარეგულირდა. გარდა ამისა ჯგუფური სარჩელის ინტეგრაცია ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს.

დაბოლოს თუ რა საკანონმდებლო ცვილებების განხორციელება შეიძლება ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის დასანერგად, საკანონმდებლო ტენიკის დონეზე მიმოვიხილოთ რამდენიმე აუცილებელი ნაბიჯი. როგორც წინა თავებში განვმარტეთ საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტს ამერიკული კანონმდებლობაც იცნობს გაცილებით უფრო დახვეწილ დონეზე, ამერიკული კანონმდებლობით გამიჯნულია სავალდებულო და ფაკულტატური თანამონაწილეობის ფორმები, შესაბამისად უფრო ადვილია ორიენტაცია საკანონმდებლო პროცედურებში საკითხის კვალიფიკაციისთვის. ქართული საპროცესო თანამონაწილეობის რეგულაციები ფართო ახსნა-განმარტებას არ იძლევა ამ კომპონენტების მიმართ, თუმცა აზრობრივი ძალისხმევით გარკვეულ შედეგამდე მისვლა

შესაძლებელია-ასეთი დაყოფა მხოლოდ იურიდიულ ლიტერატურაში გხვდება. უპრიანი არ იქნება თუ საპროცესო თანამომონაწილეობა ამ დონეზე მოწესრიგდება, რადგან ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის დანეგვის შემთხვევაში გაცილებით ცხადი გახდეს, თუ რომელი ინსტიტუტის გამოყენებაა აუცილებელი კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.

რაც შეხეება ჯგუფური სარჩელის ევროპულ და ამერიკულ მოდელებს, ქართულმა საპროცესო სამართლის მომავალმა არჩევანი ევროპის სასარგებლოდ უაპელაციოდ არ უნდა გააკეთოს მხოლოდ იმის გამო, რომ ქართული სამართალი ევროპილ ოჯახს განეკუთვნება. ევროპული მოდელის წარმომადგენლობითი ბუნება[69] ზედმეტად ინტერვენციულია პირის არჩევანში თვითონ აირჩიოს წარმომადგენელი სამოქალაქო პროცესში. ამასთან გერმანული და ფრანგული მოდელი ირჩევს გზას ჩართონ პირები საპროცესო წარმოებაში უშუალოდ სასამართლო პროცესის მიდინარეობისას, გერმანული მოდელი კი პირებს სთავაზობს დეკლარაციულ გადაწყვეტილებებს ნაცვლად მატერიალური ან სხვაგვარი დაკმაყოფილების მექანიზმებისა. როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ ეს ტენდენცია ამ ორ ქვეყანაში იცვლება და არის მცდელობები მაქსიმალურად იქნეს დაახლოებული ამერიკულ ჯგუფური სარჩელის მოდელთან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, ზედმეტი ეტაპებისა და დამატებითი ბიუროკრატიის გარეშე ქართულმა საპროცესო კანონმდებლობამ გაიზიაროს ამერიკული მოდელის გამოცდილება. კერძოდ, საპროცესო სამართალში უნდა შენარჩუნებული იქნას საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტი, ტექნიკური ჩანაწერით გაკეთდეს დათქმა, რომ საპროცესო თანამონაწილეობის მოთხოვნები არ ვრცელდება ჯგუფურ სარჩელზე, საპროცესო კანონმდებლობაში ან თუნდაც ცალკე საკანონმდებლო აქტით სკულულოზურად და ნათლად იქნას

[69] იგულისხმება საფრანგეთისა და გერმანიის მაგალითზე

ფორმულირებული ჯგუფური სარჩელის კონტექსტი და საპროცესო სამართლებრივი პროცედურები თუ მოთხოვნები.

აქვე გასათვალისწინებელია რომ საპროცესო კანონმდებლობაში წარმომადგენლის ცნება ჯგუფურ სარჩელთან მიმართებაში საჭიროებს განსხვავებულ ფორმულირებას, რადგან უკვე არსებული წარმომადგენლის ცნება და მისი დანიშვნის წესები გამორიცხავს ჯგუფური სარჩელის დამკვიდრებას ქართულ საპროცესო სამართალში.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინა თავებში აღინიშნა, რომ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაუმუშავებელი საკითხია. ქართულ ენაზე მწირია ლიტერატურა რომელიც აღნიშნულ საკითხს შეეხება. წინამდებარე ნაშრომში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია ინგლისურენოვანი წყაროები. საკითხის ირგვლივ კვლევის განსახორციელბლად გამოყენებულია როგორც საკანონმდებლო აქტები პირდაპირი წყაროების სახით, ასევე სტატიები და სამეცნიერო მონოგრაფიები. ვინაიდან საკითხი ქართული სამეცნიერო სივრცისთვის გამოუკვლეველია, ნაშრომი აგებულია წყაროებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ბოლო 5 წლის განმავლობაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე გამოცემული წყაროები, ძირითადად ისტორიული კონტექსტისა და წინაპირობების წარმოსაჩენად. საკვანძო საკითხები რომელიც შეეხება დღეს მოქმედი ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტს, მიმოხილულია განახლებული ბოლო წლებში გამოცემული ლიტერატურის საფუძველზე.

ფაქტობრივი ინფორმაცია და კონრეტული სამართლებრივი მსჯელობა რომელიც ეკუთვნით ავტორებს, აღნიშნულია სქოლიოში.

დასკვნა

დასკვნის სახით რომ შევაჯამოთ წინა თავებში განვითარებული მსჯელობები გამოვყოთ რამდენიმე საკითხი. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ჯგუფური სარჩელის სამართლებრივი ბუნება. ამ მიზნის მისაღწევად მიმოხილული იქნა სარჩელის როლი სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სარჩელი როგორც ცალკე აღებული ტერმინი შეიძლება მოაზრებული იქნეს მრავალი ინტერპრეტაციით. როგორც კერძო სამართლის საპორცესო ინსტრუმეტი სარჩელი თავის მნიშვნელობას იძენს სამოაქალაქო სამართალწარმოების ზოგადი არსიდან და მიზნებიდან. სარჩელის ბუნება სამართლებრივი კუთხით უფლებადაცვითი ხასიათისაა, რომელსაც მოჰყვება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი.

როგორც უკვე აღინიშნა ჯგუფური სარჩელი ანგლო-ამერიკული სამართლის ინსტიტუტია. საქართველოს სამართლებრივი სისტემა ევროპული სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ჯგუფური სარჩელი ევროპული სამართლისთვის უცხო და სპეციფიკური ინსტიტუტია. ამ კონტექსტში ზოგადი მიმოხილვის კუთხით განხილული იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიები ევროპული და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. ზოგიერთი პროცედურული ნიუანსების გარდა ამ ორ სისტემას შორის არსებითი სხვაობა არ შეიმჩნევა, ორივე სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემა ცნობს სარჩელის უფლებადცვით ხასიათს, სამოქალაქო პროცესის დაწყების სტადიები იდენტურია და სასამართლოში სარჩელის წარდგენით იწყება. ამდენად ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის თავისებურებას არ განაპირობებს ანგლო-ამერიკული სამართლის თავისებურება და გასხვავება ევროპული სისტემისგან, პირიქით ჯგუფური სარჩელი სარჩელის ნაირსახეობაა და ემსახურება უფლების დაცვას.

ჯგუფურ სარჩელთან ყველაზე ახლო მდგომი სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტი საპროცესო თანამონაწილეობაა. ის გარემოება რომ ორივე მათგანი მსაგვს მიზნებს ემსახურება და მათი აღძვრის საფუძვლები თითქმის იდენტურია, გამეორებას აღარ საჭიორებს. მთავარი სხვაობა, რაც

ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთისგან განასხვავებს, სამართლებრივ შედეგებში ვლინდება. ჯგუფური სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს იმ პირებზე, რომლებიც არ ჩართულან სამოქალაქო პროცესში, ხელი არ მოუწერიათ სარჩელზე. ჯგუფური სარჩელთან დაკავშირებული სასამართლო წარმოების დროს წარმომადგენელს ნიშნავს სასამართლო სახეზე მყოფი პირებიდან. საპროცესო თანამონაწილეობის დროს წარმომადგენელს ირჩევენ მოსარჩელეები, მოპასუხეები და სათანადო წესით აძლევენ რწმუნებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ანგლო-ამერიკული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, მან ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. ევროპის 2 უდიდესი ქვეყანა გერმანია და საფრანგეთი ეტაპობრივად ნერგავენ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტს. მიუხდავად იმისა, რომ მათ ამერიკული ვარიანტისგან განსსხვავებული მოდელი აირჩიეს, უახლოესი საკანონმდებლო ცვლილებები მიმართულია გერმანული და ფრანგული მოდელის ამერიკულ მოდელთან დაახლოვებისკენ. გერმანიას მოუწევს უარი თქვას დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილებებზე და საფრანგეთთან ერთად გააფართოვოს წარმომადგენლის ცნება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ ჯგუფური სარჩელი რთული სამართლებრივი ბუნების მქონე ინსტიტუტია და წინამდებარე ნაშრომი სრულად ვერ ამოწურავს და ვერც ამოწურავს ყველა საკითხს სრულფასოვნად.განსაკუთრებით გამოსაყოფია ჯგუფური სარჩელის მიმართება ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიულობისა და ეთიკურ პრინციპებთან. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე ნაშრომი იქნება როგორც გარკვეული ინფორმაციის მიმცემი დაინტერესებული პირებისათვის, ასევე გააჩენს ინტერესს ზემოაღნინული საკითხების უფრო ფართო კვლევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ქართულ ენაზე:

1. ლილუაშვილი თ., - სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, II გამოცემა, 2005

2. ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011

3. ქეთევან როსტიაშვილი, სამაგისტრო ნაშრომი თემაზე აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი, თბილისი 2019

4. გია ლილუაშვილი, ჯგუფური სარჩელები აშშ-ი და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, სამართლის პრობლემები, რომან შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2012 წ.

5. გია ლილუაშვილი, ჯგუფური სარჩელები როგორც სასარჩელო წარმოების სპეციალური სახე, ა.წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის 80 წლისა და ბიზნესის, სამართლისა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, 2013 წ. ქუთაისი

უცხოურ ენებზე:

1. Jacqueline L. Sweeney, The evolution of the class action lawsuit : the original intent of providing fairness and equity for all has yet to be achieved,Lehigh University 2003. - https://preserve.lehigh.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1827&context=etd
2. J.A. Jolowicz, On the civil procedure, Cambridge University press, 2000.- https://core.ac.uk/download/pdf/79425306.pdf
3. Sally Kane, Intoduction to civil litigation, January 26, 2020- https://www.thebalancecareers.com/introduction-to-civil-litigation-2164619
4. Helmuts Kleins, comparison of common law (Usa) and Civil litigation practice (EU), November 19, 2018- https://www.petefowler.com/blog/2018/11/19/comparison-of-common-law-us-and-civil-eu-litigation-practice
5. Adam Heyes, Class Action, January 12, 2020 - https://www.investopedia.com/terms/c/classaction.asp
6. Estelle Hunter, Opting in or opting out in class action proceedings: from principles to pragmatism? - http://www.scielo.org.za/scielo.php?script=sci_arttext&pid=S2225-71602017000100005
7. Class Action Lawsuits: A Legal Overview for the 115th Congress, Kevin M. Lewis Legislative Attorney, Wilson C. Freeman Legislative Attorney, April 11, 2018- https://fas.org/sgp/crs/misc/R45159.pdf
8. Janet Cooper Alexander, AN INTRODUCTION TO CLASS ACTION PROCEDURE IN THE UNITED STATES -

http://www.sarrafgentile.com/wp-content/uploads/pdf/An-Introduction-to-Class-Actions.pdf

9. Understanding the class action fairness act of 2005,Professor William B. Rubenstein UCLA program on Class Actions, 2005- https://www.classactionprofessor.com/cafa-analysis.pdf

10. Nicholas M. Pace, RAND Institute for Civil Justice, Santa Monica, California, U.S.A, CLASS ACTIONS IN THE UNITED STATES OF AMERICA: AN OVERVIEW OF THE PROCESS AND THE EMPIRICAL LITERATURE- http://globalclassactions.stanford.edu/sites/default/files/documents/USA__National_Report.pdf

11. Class/Collective Actions in Germany: overview, Michael Masling and Florian Hinderer, Morgan Lewis & Bockius LLP, 01 August 2019- https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/9-618-1132?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true

12. Declaratory Judgement, Julia Kagan November 12, 2019- https://www.investopedia.com/terms/d/declaratory-judgment.asp

13. Dietmar Baetge, Class Actions, Group Litigation & Other Forms of Collective Litigation- http://globalclassactions.stanford.edu/sites/default/files/documents/Germany_National_Report.pdf

14. Henning Balz,Casten Van De Sande, Hengeler Mueller. The class action law review – edition 4, Germany, May 2020.- https://thelawreviews.co.uk/edition/the-dispute-resolution-review-edition-12/1214349/germany

15. Class/Collective Actions in France: Overview, Alexandre Bailly,Xavier Haranger, Morgan , Lewis & Bockius, Paris Office. 01 August 2019- https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/1-618-0240?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true

16. Alexis Valencon, Nicolas Bouckaert Kemmedys ,- The class action Law review- 4 edition France, May 2020-

https://thelawreviews.co.uk/edition/the-class-actions-law-review-edition-4/1225678/france

17. Joan E. Steinman, The Party Status of Absent Plaintiff Class Members: Vulnerability to Counterclaim, IIT Chicago-Kent College of Law, March 1981- https://scholarship.kentlaw.iit.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1597&context=fac_schol

18. What is a "Class action"? By David Goguen- https://www.nolo.com/legal-encyclopedia/what-is-a-class-action.html

19. Germany: Class and Group Actions Laws and Regulations https://iclg.com/practice-areas/class-and-group-actions-laws-and-regulations/germany

საკანონმდებლო აქტები:

*1.*საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი- https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143

*2.*საქართველოს კონსტიტუცია- https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

*3.*Class action fairness act of 2005- https://www.congress.gov/109/plaws/publ2/PLAW-109publ2.pdf

*4.*Federal rule of civil procedure rule(USA) https://www.law.cornell.edu/rules/frcp